# როცა არცოდნა დიდი ცოდვაა!

ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე), ფილოსოფიის დოქტორი.



**საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, საზეიმო ცერემონიაზე პირველი სიტყვა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა წარმოთქვა. მთავრობისა და მხედრობის, ერისა და ბერის, მთელი ქვეყნის წინაშე წარმდგარმა პრეზიდენტმა, სადღესასწაულო თარიღის შესაფერისად ეროვნული ღირსების ამამაღლებელი და ქართველი ერის გამამხნევებელი სიტყვის ნაცვლად, ოპოზიციონერთა ასკაციან მიტინგზე წასაკითხი დეკლარაცია მოგვასმენინა; ამით კი „უმაღლესმა მთავარსარდალმა“ პოლიტიკური ჰარაკირის განაჩენი თავის თავს თვითვე გამოუტანა.**

სამწუხაროდ, მან ხელისუფლების უკიდეგანო კრიტიკითა და დადანაშაულებით დიპლომატიური კურიერის ფუნქციაც კი ვერ შეასრულა, რადგან თავისი მეგობრებისა და პარტნიორებისგან მიღებული ინფორმაცია ადრესატამდე უარგუმენტოდ და ფრიად უტაქტოდ მიიტანა. ასევე, სიტყვას აღარ გავაგრძელებთ მთავარსარდლის მდაბიურ მეტყველებასა და ჩაცმულობაზე, მაგრამ მის ამბიციას ისტორიის ცოდნაზე ცოტათი დავაცხრობთ, ვინაიდან პრეზიდენტის ფრაზა **„ერთმორწმუნე ძმის მიერ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და ფრესკების განადგურების“ თაობაზე არა მარტო ყვითელი პრესისა და ცრუ ისტორიკოსების მგზნებარების გამომხატველია, არამედ ჩვენს დიდ მეზობელთან შუღლის გასაღვივებლად მოტანილი ცრუ არგუმენტი.**

ყოველგვარი წინააღმდეგობის დასაძლევად სიმართლე მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. მით უმეტეს, შენზე გაცილებით ძლიერ სახელმწიფოსთან, რომელსაც შენი ქვეყნის ტერიტორიის მეხუთედი ოკუპირებული აქვს, გარდა მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისა, კიდევ რა საშუალება შეიძლება არსებობდეს, რომ დაკარგული ტერიტორია შემოიერთო?! – არა დასაშორიშორებელი და დასაპირისპირებელი, არამედ დასაახლოებელი და დამაკავშირებელი ფაქტების მოძიებაა საჭირო, რომლებიც ჩვენი საერთო ისტორიული გამოცდილებიდან ორივე ერისთვის სასარგებლო და სასიხარულო ამბებს შეგვახსენებს.

## განაჩენი უმაღლესი მთავარსარდლისა



სიონის საკათედრო ტაძრის მოხატულობა. მხატვარი გრიგოლ გაგარინი.

იხ. 6 გვ.


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 31 მაისი. 2023 წ. №62 (9594) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## დაგვიჯერეთ:

## ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი დაასრულებს პოლარიზაციას საქართველოში!



იხ. 2 გვ.

ბრატისლავაში, გლობალური უსაფრთხოების ფორუმზე პანელის ერთ-ერთმა მონაწილემ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, **ირაკლი ღარიბაშვილს** კითხვით მიმართა, რომელიც საქართველოში პოლარიზაციის დასრულებას შეეხებოდა.

**კერძოდ, ფრანგმა ჟურნალისტმა პრემიერს ჰკითხა: „თქვენ ბრძანეთ პოლარიზაციის დასრულების საკითხი, როგორც იმ 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთი. თუ შეიძლება, გვითხარით მეტი ამის თაობაზე“.**

**„თუ გვინდა, თავიდან ავიცილოთ შემდეგ GLOBSEC-ის სამიტზე მსგავსი კითხვები და მსგავსი პოლარიზაცია, მოგვანიჭეთ მაშინ სტატუსი. სტატუსი დაასრულებს პოლარიზაციას საქართველოში“,** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## იქიდან რუსეთი, აქედან დასავლეთი... ჩვენ ისევ შუაში ვიჭყლიტებით!



იხ. 4 გვ.

## რობერტ აჯიაშვილი

## ბეთლემი, ტაძარი, ადგილი, სადაც იშვა ქრისტე



3

დამოუკიდებლობის დღეს გვილოცავენ ისრაელიდან

## სემეკის თაღლითებო, კომუნალური ტარიფების შემცირების დროა!

5

# ფულთან თამაში



იხ. 5 გვ.

## მომთმენი და საერთაშორისო ნორმების დამცველი ბიზნესმენი ყოველთვის მოგებული გამოდის!

ბიძინა ივანიშვილისა და CREDIT SUISSE-ის დავასთან დაკავშირებით ადვოკატების მთავარი სათქმელი

იხ. 8 გვ.

## ახალი სახელმწიფო პროგრამა მთაში მცხოვრები მეწარმეებისთვის

# პატარა ქვეყნის პრემიერის დიდი გამბედაობა!!!

## ირაკლი ღარიბაშვილი:

## საქართველო თუ ვერ მიიღებს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს, ეს იქნება დიდი შეცდომა



**ვფიქრობ, გეოპოლიტიკურ რთულ გარემოში, ამ ვითარებაში ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის არმინიჭება საქართველოსთვის, რომელიც არის ამ „ასოცირების ტრიოში" ნომერი პირველი თავისი მუშაობით, იქნება დიდი პოლიტიკური შეცდომა,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ ბრატისლავაში განაცხადა.

საქართველოს მთავრობის მეთაურს ბრატისლავაში, გლობალური უსაფრთხოების ფორუმზე ჰკითხეს უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონზე, პრემიერის თქმით, აღნიშნული კანონპროექტი უკვე გაწვეულია და მასზე საუბარი საჭირო აღარ არის.

**„რატომ უნდა ვისაუბროთ იმაზე, რაც უკვე გადაიჭრა? ეს კანონპროექტი გაწვეულია. დავხურეთ თავი და ამიტომ აქცენტი გავაკეთოთ უფრო სერიოზულ საკითხებზე. ეს იყო ინიციატივა, რომელიც სხვა ბევრ ქვეყანაში არსებობს. მათ შორის, ევროპარლამენტში იქნა განხილული მსგავსი კანონის. მაგრამ არ მინდა, დეტალებში შევიდე. არც სპეკულაციები მინდა ამაზე. იყო ეს ინიციატივა და ჩვენ გავიწვიეთ, გავითხოვეთ ეს კანონპროექტი. ეს თავი დახურულია.**

**მინდა, საუბარი წარვმართო უფრო მნიშვნელოვან და სერიოზულ საკითხზე, რაც არის შემდეგი ნაბიჯები ჩვენი ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. როგორც თქვენ ბრძანეთ, ჩვენ ვმუშაობთ ამ 12 პრიორიტეტის განხორციელებაზე. უკრაინა და მოლდოვა კანდიდატის სტატუსით სარგებლობენ, საქართველოს არ მიეცა ეს სტატუსი. როგორც განვმარტეთ ბევრჯერ, ეს იყო ბონუსი იმ ქვეყნებისთვის – მოლდოვისა და უკრაინისთვის. ძალიან გვიხარია მათი სახელით. როგორ ფიქრობთ, საქართველოს რატომ არ მიეცა? ჰკითხეთ ჩვენს ევროპელ მეგობრებს. მგონი, ეს იყო უსამართლო, ეს იყო ნამდვილად დაუსაბუთებელი, არამიზანშეწონილი ნაბიჯი.**

**მაგალითად, რა გზავნილია რუსეთისთვის ეს? ე.ი ჩვენ, ევროპელები ვტოვებთ საქართველოს, რომელიც უკრაინას და მოლდოვას ორჯერ, სამჯერ სჯობს. თუ დამსახურებაზეა საუბარი, საქართველოსთვის უნდა მიენიჭებინათ მუშაობის საფუძველზე. საქართველო იყო და კვლავ არის ორჯერ, სამჯერ წინ, ვიდრე ის ორი ქვეყანა. ამ „ასოცირების ტრიოზე" მაქვს საუბარი. ამიტომ ეს კითხვა სჯობს, დაუსვათ ევროპელ მეგობრებს. რატომ არ მისცეს სტატუსი საქართველოს? არც არგუმენტები, არც განმარტება არ გაგვაჩნია. მოლდოვასაც და უკრაინასაც მისცეს ეს 12 პრიორიტეტი, მაგრამ სტატუსი წინასწარ მიანიჭეს. ეს არის განსხვავება, არ გვესმის, რატომ? ჩვენ მარტო ის გვითხრეს, რომ უკრაინა ომშიაო.**

**ჩვენც ვიყავით ომში 2008 წელს, 20 პროცენტი კვლავ არის ოკუპირებული, ამიტომ სად არის განსხვავება? მოლდოვა რთულ სიტუაციაში არისო. ამიტომ რაციონალური ნიშანი აქ არ არის. საქართველო თუ ვერ მიიღებს ამ სტატუსს წლის ბოლოსთვის, ეს იქნება უშველებელი შეცდომა. საქართველო გააგრძელებს წინსვლას ყველა იმ რეფორმით, განვითარებით და ა.შ. მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ გეოპოლიტიკურ რთულ გარემოში, ამ სიტუაციაში ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის არმინიჭება საქართველოსთვის, რომელიც არის ამ „ასოცირების ტრიოში" ნომერი პირველი, იქნება დიდი პოლიტიკური შეცდომა"!**

## ვხედავთ ბრუტალურ ომს უკრაინაში და ვერ ვხედავთ რაიმე ძალისხმევას ან ნებას რომელიმე მხრიდან, რომ ეს ომი გაჩერდეს!

**...მიმაჩნია, რომ მსოფლიო იმ დროს ვერ ფიქრობდა, რამდენად სერიოზული იყო ის 2008 წლის ომი ჩვენთან, მაგრამ ექვსი წლის შემდეგ რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია. არავინ ფიქრობდა, რომ ამას გააკეთებდა, მაგრამ ეს ასე მოხდა. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში სამი ომი გვქონდა. 90-იანი წლების დროს, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონები დავკარგეთ, შემდეგ იყო სამოქალაქო ომი და შემდეგ 2008 წელს. ამიტომ მიმაჩნია, რომ მსოფლიომ სერიოზულად ვერ მიიღო ეს საკითხი. ყველაფერი ჩვეულებრივ რეჟიმში გაგრძელდა.**

**მაგალითად, დღეს გვეკითხებიან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რომელიც რუსეთთან 2012 წლიდან მოყოლებული გვაქვს, მანამდეც გვქონდა. წინა მთავრობა ომის შემდეგ ცდილობდა, აღედგინა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან. უვიზო რეჟიმი მიანიჭეს ომის შემდეგ, მიჰყიდეს სტრატეგიული ობიექტები, ომის შემდეგ ენერგოობიექტები მიჰყიდეს რუსეთის სახელმწიფო საწარმოებს.**

**მიუხედავად ამისა, შედარების მიზნით, მინდა, შეგახსენოთ, რომ ევროკავშირმა 2.3 მილიარდი ევრო გადაუხადა რუსეთს 2008 წლიდან 2022 წლის პერიოდში. ეს არის რეალობა, მაგრამ ახლა ჩვენ განსხვავებული რეალობა გვაქვს. ახლა ვხედავთ ბრუტალურ ომს უკრაინაში და ვერ ვხედავთ რაიმე ძალისხმევას ან რაიმე ნებას რომელიმე მხრიდან, რომ ეს ომი გაჩერდეს"!..**

## კახა კალაძე:

## ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, სანქციებს არ შევუერთდით



**„საერთოდ რა კავშირშია ფრენები რუსეთთან დაახლოებასთან? ჩემთვის გაუგებარია, როდესაც ჩვეულებრივი სახმელეთო მიმოსვლაა შესაძლებელი, ანდა ერევნის გავლით ფრენები, რა პრობლემაა, თუ პირდაპირი ფრენა იქნება. ან რატომ ეწინააღმდეგება ევროპულ მომავალს და ევროინტეგრაციას ის, თუ საქართველოს მოქალაქე, ქართული პასპორტით, ვიზის გარეშე შეძლებს რუსეთის ფედერაციაში გადაადგილებას? ვიღაცას შეიძლება, ჰქონდეს სურვილი, წავიდეს რუსეთში, ვიღაც წავა იტალიაში, ვიღაც ესპანეთში",** – აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ხელისუფლება ატარებს ქვეყნის ინტერესს და არ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც საქართველოსთვის დამაზიანებელი იქნება.

**„რაც შეეხება დიპლომატებს, ყოველთვის იყო პირდაპირი მოწოდებები, რომ საქართველო შეერთებოდა სანქციებს. ჩვენ აბსოლუტურად ღიად, ყოველგვარი დამალვის გარეშე, ვთქვით, რომ სანქციებს არ და ვერ შევუერთდებით და ამას აქვს თავისი ახსნა. ეს ყველაფერი განპირობებულია იმით, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესს ვატარებთ. არ გვინდა, მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოსთვის და ჩვენი მოსახლეობისთვის დამაზიანებელი იქნება",** – განაცხადა თბილისის მერმა, კახა კალაძემ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ელჩების დემარშის საპასუხოდ.

მისივე თქმით, საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყანა როცა იქნება, მივიღებთ ისეთ გადაწყვეტილებებს, რაც საერთო ევროპულ ინტერესში შედის.

**„საქართველო ჯერჯერობით არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყანა, რომელიც მიისწრაფვის ევროპისკენ და გვაქვს ევროინტეგრაციის სურვილი. ჩვენ სტატუსი როცა გვექნება, გავხდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა, რასაკვირველია, მივიღებთ ისეთ გადაწყვეტილებებს, რაც საერთო ინტერესში შედის",** – განაცხადა კახა კალაძემ.

## ირაკლი კობახიძე:

## ჩვენ ვართ პასუხისმგებელი საკუთარი ხალხის და ქვეყნის წინაშე,...



**„სანქციების დაწესების პირობებში 200 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი დაიკარგებოდა პირველივე წელს, ვკითხოთ ჩვენს მოქალაქეებს, სურთ თუ არა საკუთარი სამუშაო ადგილების დაკარგვა, მათი ახლობლების, ნათესავების სამსახურის დაკარგვა, შემოსავლების შემცირება და ა.შ. საუბარია არა მარტივ შედეგებზე, საუბარია უმძიმეს ეკონომიკურ შედეგებზე.**

**ასევე, არის სპეკულაციები იმასთან დაკავშირებით, თითქოს კანდიდატის სტატუსი იქნებოდა კომპენსაცია ამ ყველაფრისთვის. მინდა, შეგახსენოთ, რომ მოლდოვამ შარშან მიიღო კანდიდატის სტატუსი, თუმცა ორი წლის განმავლობაში ჩვენსა და მოლდოვის ეკონომიკებს შორის სხვაობა იზრდება ჩვენს სასარგებლოდ რვა მილიარდი დოლარით, აქედან ჩანს, რომ ესეც ცარიელი სპეკულაციებია, არავითარი კავშირი კანდიდატის სტატუსსა და ეკონომიკის ზრდას შორის სინამდვილეში არ არსებობს.**

**კიდევ ერთხელ რომ შევაჯამო, ერთი – ვერ დავუშვებთ ესკალაციას და მეორე ფრონტისკენ ნაბიჯების გადადგმას; და მეორე – ვერ დავუშვებთ ეკონომიკურად საკუთარი ხალხის დასჯას, ეს იქნება არასწორი ნაბიჯი. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი არ განიხილება. ჩვენ ორი წლის წინ გვქონდა ეკონომიკა 4 250 დოლარი ერთ სულ მოსახლეზე, ამ წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი 8 000 დოლარს გადააჭარბებს, სამ წელიწადში დაახლოებით 2-ჯერ იზრდება ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი. გვაქვს სავალუტო ფონდის ძალიან დამაიმედებელი პროგნოზები, 2025 წლისთვის ჩვენ გადავაჭარბებთ 10 000 დოლარს, 2030 წელს ჩვენი ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე 15 000 დოლარს მიაღწევს. ეს არის ჩვენი მიზანი. აქეთ უნდა ვიაროთ, რათა აღმოიფხვრას სიღარიბე, რომ დაუახლოვდეთ კეთილდღეობის ევროპულ სტანდარტს.**

**ეს არის უალტერნატივო გზა და არა ის გზა, რომელსაც გვთავაზობენ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები და, სამწუხაროდ, რომელსაც გამოეხმაურა ამ შემთხვევაში ის დემარში, რომელიც განხორციელდა ეკონომიკის მინისტრთან შეხვედრაზე. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი საკუთარი ხალხის და საკუთარი ქვეყნის წინაშე და მომავალშიც ყველა ნაბიჯი იქნება გადადგმული, პირველ რიგში, სწორედ საკუთარი სახელმწიფოს და საკუთარი ხალხის ინტერესების შესაბამისად",** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.



ⓞ წერილი ფოთიდან

# ბატონ გიორგი კვესიტაძეს

## გვსურს, დიდი პატივისცემით მოგილოცოთ 81-ე დაბადების დღე

თქვენი, როგორც გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოს მცენარეთა ბიოქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ღვაწლი შეუფასებელია ქართული მეცნიერების აღმშენებლობაში.

ხაზგასასმელია თქვენი, როგორც გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის მიერ გაწეული მნიშვნელოვანი საქმიანობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტობის პერიოდში. მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი,ფოთის და თბილისის საპატიო მოქალაქე, მრავალი მონოგრაფიის, სამეცნიერო სტატიის და გამოგონებათა ავტორი, საერთაშორისო გრანტების მფლობელი ბრძანდებით. ეკოლოგიური და ბიოლოგიური მეცნიერების განვითარების დარგში შეტანილი წვლილისათვის არაერთხელ დაგაჯილდოვეს საერთაშორისო მასშტაბით.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, წინსვლას და წარმატებას ქართული მეცნიერების და სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ.

**ქალაქ ფოთის მერი**
**ბექა ვაჭარაძე**

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

# განცხადება

**2023 წლის 25 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად ერთხმად არჩეულია**

**აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს აკადემიკოს გივი ჯაფარიძეს პრეზიდენტად არჩევას. უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებულ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.**



# უმრავლესობა ლევან ბეჟაშვილის ვიცე-სპიკერობის წინააღმდეგია

ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის, მამუკა მდინარაძის განცხადებით, მმართველი გუნდი ლევან ბეჟაშვილის არჩევას ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე მხარს არ დაუჭერს.

**„საპარლამენტო უმრავლესობის საერთო პოზიციიდან გამომდინარე, ჩვენ მხარს არ დავუჭერთ ვიცე-სპიკერის პოზიციაზე ლევან ბეჟაშვილის არჩევას",** – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

შეგახსენებთ, „ნაციონალურმა მოძრაობამ" ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე ლევან ბეჟაშვილის კანდიდატურა წარადგინა. მეათე მოწვევის პარლამენტში ოპოზიციური კვოტით ვიცე-სპიკერის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც პარლამენტმა სახალხო დამცველად ლევან იოსელიანი აირჩია.

# სტუდენტები რექტორის წინააღმდეგ



**რაში დაიხარჯა თითქმის 320 მილიონი ლარი – პასუხგაუცემელი კითხვები და სტუდენტები ილიას უნივერსიტეტის რექტორის წინააღმდეგ. ახალგაზრდები ნინო დობორჯგინიძეს ფინანსური დოკუმენტაციის დამალვაში ადანაშაულებენ. არ არის გამორიცხული საქმე სასამართლომდე მივიდეს.**

# ყურადსაღები კითხვები ევროკავშირის და წევრი ქვეყნების ელჩებს

**„კითხვები ევროკავშირის და წევრი ქვეყნების ელჩებს: 1. საიტზე flighradar24-ზე ჩანს, რომ ევროპიდან აზიის მიმართულებით ევროპული ბორტები იყენებენ რუსეთის საჰაერო სივრცეს.**

**ასეთი ასობით ფრენა სრულდება. რატომ უხდით რუსეთის ნავიგაციას ფულს? 2. მესმის თქვენი, ამოკლებთ მარშრუტს, ამცირებთ ყველანაირ საავიაციო ხარჯებს, ამცირებთ ფრენის დროს, რითაც თქვენს მგზავრებს უქმნით კომფორტს და ა.შ. მაშინ ჩვენგან რატომ ითხოვთ, რომ ჩვენმა მგზავრებმა იფრინონ ტრანზიტით, სხვა ქვეყნების გავლით? რას გიწყვიტავთ ერთი-ორი რეისი, როცა თქვენ ახორციელებთ ასობით ფრენას რუსეთის გავლით? 3. გუშინ დემარში რომ მოაწყვეთ, რა მოსთხოვეთ ვიცე-პრემიერს, ფრენების სფეროში სანქცია დააწესოს საქართველომ? პუტინმა გააუქმა მის მიერ დაწესებული სანქცია. იურიდიულად სხვა რა ფორმა არსებობს ფრენების შეჩერების, გარდა სანქციის დაწესებისა?**

**P. S. ცნობისთვის. 2022 წელს რუსეთის საჰაერო მოძრაობის სახელმწიფო ორგანიზაციამ ჯამში, როგორც შიდა, ისე ტრანზიტული ფრენებიდან, 1 მილიარდი დოლარი შემოსავალი მიიღო,"** – წერს ამირან სალუქვაძე.

# ბეთლემი, ტაძარი, ადგილი, სადაც იშვა ქრისტე

## *„კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა, იქ ილოცე"*



ჯამლეტ ხუხაშვილი, რობერტ აჯიაშვილი

**და, ვლოცულობ:**

მკერდში დაჭრილ საქართველოს გამთლიანებაზე; ქართველი ვაჟკაცების თვალები ნაღვლიანი, არასდროს, რომ არ მენახოს; ქართველი ქალის მკერდში რძე არასდროს, რომ არ დამშრალიყოს; ქართველი ერი გამრავლებულიყოს;

ყოველ ოჯახს სულიერი სიმშვიდით, რომ ეცხოვროს; ქართველ მანდილოსნებს, უცხოეთში წასვლა არ დასჭირვებოდეთ, რათა შვილებისთვის საზრდო რომ გამოეგზავნოთ; ქართველ ვაჟკაცებს, ქალიშვილებს, ერს და ბერს, ამაღლებული, ქართული სულით, სიამაყით, რომ ეცხოვროთ; და არა ისე, როგორც უცხო ტომებისათვის მომსახურების სფეროში დასაქმებულებს; აი აქ, ამ დიდებული ქრისტიანური ტაძრის წინ მდგომი, მე, ჩემი სარწმუნოებით ებრაელი, ქართულ მიწაზე დაბადებული, მეტყველებით ქართველი, **ვლოცავ**: ქართველი ქალის წმინდა მანდილს, ქართული სიტყვის წადილს, გლეხი კაცის დაკოჟრილ ხელებს, ქართულ ვაზს და მის ცრემლებს, სამეგრელოს ერთ – ერთ პატარა, ულამაზესსა და უსაყვარლეს სოფელს, ჩემს ბანძას, საიდანაც შეგვასწავლეს და დაგვიტოვეს ენის, მიწისა და სამშობლოს სიყვარული ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა, სადაც გვასწავლეს ჭირში და ლხინში გარევა, დაგვიტოვეს უამრავი ეროვნული ებრაული ტრადიციები, შერწყმული მდიდარ ქართულ ტრადიციებთან და აზრი მიანიჭეს ჩვენს ცხოვრებას!

ვლოცავ, მკერდში დაჭრილ ჩვენს საყვარელ საქართველოს, ვულოცავ დამოუკიდებლობის დღეს, ვუსურვებ ქართველთა გაერთიანებას, ქვეყნის გამთლიანებას, თითოეული ოჯახის აყვავებას, და მათ სიძლიერეს, ვულოცავ საქართველოს ყველა ერის შვილს, ვისაც ერთიმეორის ბედნიერება უხარიათ, ვისაც ქვეყნის აღმავლობა სურთ და სწყურიათ! ვლოცავ ქართულ ზეცას, რომლის ქვეშაც ჰაერს, განსაკუთრებული გემო აქვს, ქართულ მიწას, სადაც დაირწა ჩვენი აკვანი, სადაც ავიდგით ფეხი, მიწას, რომელმაც გამოგვკვება და დღემდე მოიტანა ჩვენი სიცოცხლე, მიწას, რომელმაც გულში ჩაიხუტა უკუნითი უკუნისამდე დედაჩემის ნეშტი „დამპალოს" სასაფლაოზე; ლოცვებს ვუგზავნი საყვარელ ქვეყანას, სადაც მუდამ იბადებოდა ბედნიერი კაცის ცხოვრება!

საქართველო გადარჩება, საქართველო გაბრწყინდება და კვლავაც დაიბადებიან! სადაც, მათ ერთმანეთის წარმატება და ბედნიერება გაეხარდებათ ასეც იქნება, გამოხდება ხანი და აყვავდება ქვეყნის უკლებლივ ყველა ოჯახი, დამკვიდრდება ძმობა, ერთობა და სიყვარული, დაისადგურებს სულიერი სიმშვიდე და თბილისის ცის ქვეშ, ჰაერსაც დაუბრუნდება თავისი განსაკუთრებული გემო! გამრავლდება ერი ქართველთა და საქართველოდან ისრაელში ამოსული ებრაელობაც, ისრაელის ნაკურთხ წმინდა მიწაზე, მრავალფეროვნად იზეიმებს, შუღლზე, მტრობაზე, უვიცობაზე და უბნეობაზე გამარჯვებას! დედამიწის ამ მშვენიერ, გეოგრაფიულ კუთხეში, სადაც მიწა თავისი ნაყოფიერებით ყვავის და მისი თითოეული კენჭიც კი მღერის, სინათლე საბოლოოდ დაამარცხებს წყვდიადს და ამიტომაც გავკივი და ვლოცულობ, მე, სარწმუნოებით ებრაელი კაცი, ხან დაჩოქილი, ხან ფეხზე მდგომი, ლეგენდებით მდიდარი ტაძრიდან, ადგილიდან სადაც იესო იშვა, „კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა, იქ ილოცე"!.. დაგვილოცეთ საქართველო, მეგობრებო, სადაც ვეზიარეთ ყველაფერს პირველს: პირველი ზარი, პირველი კლასი, პირველი შვილი, მასწავლებელი, წყენა თუ სიხარული, სადაც გადგმულია ჩვენი ფესვები, დღეს ხომ მისი დაბადების დღეა!!!

**რობერტ ადარი (აჯიაშვილი),**

**პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, „საუკეთესო ებრაელის" მედლის მფლობელი, სსფ „გულთა კავშირის" პრეზიდენტი**

**„ქართული ოცნება“: უნდა დავიცვათ პრეზიდენტის ინსტიტუტი მაშინაც, როცა მის პრესტიჟს თავად პრეზიდენტი უქმნის საფრთხეს!**

# მგელს სახარებას უკითხავდნენ და... ის მაინც ტყისკენ იყურებოდაო!..

## დღეს, 31 მაისს ბრიუსელში გამოჩნდება „ოცნების“ ეს ოპუსი პრეზიდენტმა წალმა გაიგო თუ უკუღმა!..

**უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტის, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის მხრიდან სულ უფრო ხშირად კეთდება განცხადებები, რომლებიც უარყოფითად აღიქმება და ფასდება, უპირველეს ყოვლისა, ქართული საზოგადოების იმ ნაწილის მიერ, რომელმაც მას, ჩვენი მოწოდების საფუძველზე, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დაუჭირა მხარი.**

**მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ აღქმასა და შეფასებას აქვს მყარი ობიექტური საფუძველი, არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, გამოვეხმაუროთ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურ განცხადებებს. ჩვენ, როგორც მმართველ პარტიას, გვეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა საქართველოს უმაღლესი კონსტიტუციური ინსტიტუტების, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტის დაცვაზე.**

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩვენ მხარი დავუჭირეთ სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას სწორედ იმ მოლოდინით, რომ ის სათანადოდ შეასრულებდა ზეპარტიული პრეზიდენტის ფუნქციას საპარლამენტო მმართველობის სისტემაში. მივიჩნიეთ, რომ უპარტიო ქალბატონი, რომელიც იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელოვანი მოღვაწეების შთამომავალი და ამით განასახიერებდა კავშირს საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიასა და თანამედროვე საქართველოს შორის, იქნებოდა საუკეთესო კანდიდატი ამ მისიისათვის.

თუმცა, სამწუხაროდ, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა სხვა გზა აირჩია და უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მან მკაფიოდ გამოავლინა პოლიტიკური მიკერძოება რადიკალური ოპოზიციური ძალების დღის წესრიგის სასარგებლოდ. 2018 წელს, საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევისას, „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს მკაფიოდ განუმარტა საკუთარი დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ, არჩევნებში მხარდაჭერის მიუხედავად, მას არ უნდა ჰქონოდა არავითარი ვალდებულება მმართველი პარტიის წინაშე.

„ქართული ოცნება“ ამ მიდგომას სალომე ზურაბიშვილის მიერ ფიცის დადების დღიდან სრულად იცავდა და დღემდე იცავს. აქედან ჩანს, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურის მხარდაჭერისას ჩვენი ერთადერთი მიზანი საპარლამენტო მმართველობის სისტემაში საქართველოს პრეზიდენტის ზეპარტიული ინსტიტუტის სათანადოდ დამკვიდრება იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის ბოლოდროინდელი ქმედებები ხასიათდება უკიდურესი არაობიექტურობითა და პოლიტიკური მიკერძოებით, რაც უხეშად ეწინააღმდეგება ზეპარტიული კონსტიტუციური თანამდებობის პირის ფუნქციას, ჩვენი პოზიციაა, რომ საქართველოს პრეზიდენტის კრიტიკისაგან პრინციპულად უნდა შევიკავოთ თავი. ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენი მხრივ ხელი არ შევუწყოთ პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინებას. ამავე მიზნით, თავს ვალდებულად მივიჩნევთ, არავის მივცეთ პოლიტიკური კონფრონტაციის გაღრმავების საშუალება. ჩვენ უნდა დავიცვათ პრეზიდენტის ინსტიტუტი მაშინაც კი, როდესაც ამ ინსტიტუტის პრესტიჟს თავად მოქმედი პრეზიდენტი უქმნის საფრთხეს.

**იმ პირობებში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი კარგავს ლეგიტიმაციას საზოგადოების იმ ნაწილის თვალში, რომელმაც მას 2018 წლის არჩევნებში დაუჭირა მხარი და ვერც საზოგადოების იმ ნაწილში იძენს ლეგიტიმაციას, რომელიც მას 2018 წელს მოღალატედ და რეზიდენტად აცხადებდა, ჩვენი ვალია, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს უფლებამოსილების დარჩენილი წელიწად-ნახევრის განმავლობაში შევუნარჩუნოთ თუნდაც მინიმალური ლეგიტიმაცია საპრეზიდენტო უფლებამოსილების განსახორციელებლად. ამითაც არის ნაკარნახევი ჩვენი გადაწყვეტილება, არ შევიდეთ პოლემიკაში ქალბატონ სალომე ზურაბიშვილთან.**

**დასასრულ, გამოვთქვამთ იმედს, რომ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ქართული საზოგადოების უმრავლესობასთან კიდევ უფრო მძაფრ კონფრონტაციაში არ შევა. „ქართული ოცნება“ მზადაა, საქართველოს პრეზიდენტს, ხალხთან კონფრონტაციის გაღრმავების თავიდან ასაცილებლად, მაქსიმალური დახმარება გაუწიოს“,** – ნათქვამია განცხადებაში.

**„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო**

29.05.2023.

## ვინ აწარმოებდა მოლაპარაკებას რუსეთთან – ხელისუფლება თუ პრორუსული ოპოზიცია?



# იქიდან რუსეთი, აქედან დასავლეთი... ჩვენ ისევ შუაში ვიჭყლიტებით!

**საქართველოს ხელისუფლება უარყოფს რუსეთთან მოლაპარაკებების არსებობას. მთავრობის მეთაური ამბობს, რომ მოქმედ ხელისუფლებას რუსეთის მთავრობასთან პოლიტიკური დიალოგი არ აქვს. თუმცა, რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ საქართველოს ხელმძღვანელობამ არაერთხელ დასვა საკითხი ვიზების გაუქმებისა და ნორმალური საჰაერო მიმოსვლის აღდგენის შესახებ და რუსეთმაც შემხვედრი ნაბიჯი გადადგა.**

**ვლადიმერ პუტინი** არ აკონკრეტებს, ვინ აწარმოებდა რუსეთთან მოლაპარაკებას, თუმცა ამბობს, რომ სრული მოულოდნელობა იყო საქართველოს რეაქცია.

მადლობას ელოდებოდა იმ ქვეყნის მოსახლეობისგან, რომლის 20% ოკუპირებული აქვს, მაგრამ უკურეაქცია მიიღო. მისი თქმით, მას სურდა საქართველოში იმ ხალხის მხარდაჭერა, რომლებსაც რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების დალაგება სურთ და ასევე, რუსეთის იმ ბიზნესებისა და მოქალაქეების მხარდაჭერა, რომლებსაც მეზობელი ქვეყანა უყვართ.

**„ჩემთვის სრული მოულოდნელობა იყო რეაქცია, რომელიც ამას მოჰყვა. ვფიქრობდი, ყველა იტყოდა „აი, მადლობა, კარგია“. არა, იქ სრულიად გაუგებარი აურზაური ატყდა ამ საკითხზე. ძალიან გასაკვირია. უბრალოდ, სიმართლე გითხრათ, მოულოდნელად. გვერდიდან როდესაც ვუყურებ, ვფიქრობ: ნუთუ სულ გაგიჟდნენ? რა ხდება იქ მათთან, გაუგებარია. ჩვენ მზად ვართ გზის ჩვენი მონაკვეთი გავიაროთ, როგორც უკვე ვთქვი, ნაბიჯებს ვდგამთ და გავაგრძელებთ იმის გათვალისწინებით თუ როგორი რეაქცია ექნებათ ამაზე ჩვენს პარტნიორებს. საქართველომ თავად უნდა გადაწყვიტოს როგორ განვითარდეს და რა გზით იაროს“!..**

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას არ ადასტურებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. **ირაკლი ღარიბაშვილი** ხაზგასმით ამბობს, რომ რუსეთთან არანაირი სახის მოლაპარაკება არ მიმდინარეობს და აცხადებს, რომ 2008 წლის ომიდან, რამდენიმე თვეში **თამაზ გაიაშვილი** გააგზავნეს და დაავალეს, რომ დაეწყო პირდაპირი ფრენები რუსეთთან. მისი თქმით, თუ ვინმე ითხოვდა რუსეთთან ფრენების და ვაჭრობის აღდგენას, ეს იყო **მიხეილ სააკაშვილი** და მისი მთავრობა.

**„ჩვენ, ოფიციალურ ხელისუფლებას გაცხადებული გვაქვს არაერთხელ, რომ რუსეთის ხელისუფლებასთან არ გვაქვს პოლიტიკური დიალოგი. ერთადერთი, ჩვენ გვაქვს ურთიერთობა ეკონომიკურ, სავაჭრო საკითხებზე, ეს არის გაცხადებული, ღია, ამის თაობაზე ჩვენ არავითარი დასამალი არ გვაქვს. თუ ვინმეს ჰქონდა ქართული ხელისუფლებიდან მცდელობა, კონტაქტები და ვიზიტები, ეს არის სააკაშვილის ხელისუფლება. ჩვენ გვყავს ოფიციალური წარმომადგენელი და ჩვენ არ გვქონია, ოფიციალურ მთავრობას და ჩვენს ხელისუფლებას არანაირი მოლაპარაკებები.**

**გეტყვით შემდეგს, რომ ჩვენი მრავალი დიასპორის წარმომადგენელი, ითხოვდა ამას, ქართული ბიზნესი ითხოვდა ამას, მე ვიცი, სხვა ჯგუფებიც ითხოვდნენ ამას და ეს ხდებოდა წლების განმავლობაში. ასევე, მთავარი მინდა გითხრათ, მთავარზე მინდა გააკეთოთ აქცენტი: თუ ვინმე ითხოვდა რუსეთთან ფრენების აღდგენას, ვაჭრობის აღდგენას, ეს იყო სააკაშვილი და მისი მთავრობა. ალბათ, მე ვფიქრობ, ჩემი განცდა ასეთია, რომ ალბათ, რუსეთის პრეზიდენტი სააკაშვილის მთავრობას გულისხმობდა“,** – განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე** აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი, როგორც ჩანს, „ნაციონალურ მოძრაობას“ გულისხმობდა, რომელმაც სწორედ რუსეთის ფედერაციას ჩააბარა ქვეყნის ტერიტორიების 20%.

**„რუსეთ-საქართველოს ომიდან მალევე, სააკაშვილმა ცალმხრივად გაუუქმა სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებს. ეს არის სააკაშვილის ხელისუფლების ღია და ფარული მოლაპარაკებები, რაც მას ჰქონდა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, პუტინის ხელისუფლებასთან. რუსული ნაბიჯი იყო სააკაშვილის მიერ რუსეთის ფედერაციისთვის 20%-ის ჩაბარება. „ნაცმოძრაობამ“ ჩააბარა რუსეთის ფედერაციას ქვეყნის ტერიტორიების 20%, ამაზე მეტი რუსული ნაბიჯი რა უნდა იყოს. ეს იყო „ნაცმოძრაობის“ მიერ განხორციელებული ქმედება“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

კომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ დირექტორი, **თამაზ გაიაშვილი** ადასტურებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 2008 წლის ომის შემდეგ, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების დავალებით, რუსეთში ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

**„ომამდეც და ომის შემდეგაც ხელისუფლება აქტიურად მუშაობდა ჩემთან ფრენების აღდგენაზე, რომ მე რუსეთში ეს თემა ამეწია და გამეკეთებინა, რათა დაგვეწყო ფრენები. დამავალეს, მითხრეს, სახელმწიფოს არ შეგვიძლია, ეს რომ გადავიხადოთ და იქნებ რამენაირად თქვენ გადაიხადოთ და შემდეგში ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ანაზღაურებული გქონდეთო“,** – განაცხადა **თამაზ გაიაშვილმა.**

ფრენები აღდგენილია, უვიზო მიმოსვლა გაუქმებულია, თუმცა კვლავ არ არსებობს მთავარ კითხვაზე პასუხი – ვინ აწარმოებდა მოლაპარაკებას რუსეთის ხელისუფლებასთან? – ხელისუფლებასთან დაახლოებული ჯგუფი, თუ ოპოზიციის ფლანგზე არსებული პრორუსული ფრთა? კულისებს მიღმა რა ხდებოდა არ იცის, მაგრამ როგორც პოლიტოლოგი **თამარ კიკნაძე** ამბობს, ძალიან რთული დროა, საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ პატარა ქვეყანაა, მნიშვნელოვანია როგორც დასავლეთისთვის, ასევე რუსეთისთვის. ერთი მხრივ დასავლეთი ცდილობს ჩაითრიოს საქართველო ომში, მეორე მხრივ ძალიან რთულ ვითარებაში რუსეთი ხსნის ვიზებს.

**„დააკვირდით როდის ხდება ფრენების აღდგენა, ნახეთ, როგორ მდგომარეობაშია საქართველო – უარი თქვას სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე და ფრენების აღდგენაზე, ეს მარტივად ვერ მოხდება. განაწყენდება რუსეთი და შეიძლება საბოლოოდ გაფუჭდეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობები. მეორე მხრივ დასავლეთი გთხოვს, რომ უარი ვუთხრათ ფრენებზე და სავიზო მიმოსვლაზე, მაშინ, როდესაც ცალმხრივადავ იყო შეზღუდვა. ფრენებიც რუსეთმა აკრძალა და ვიზებიც რუსეთმა დააწესა და ახლა თავად შეცვალეს გადაწყვეტილება, საქართველო რთულ მდგომარეობაშია – იქიდან რუსეთი, აქედან დასავლეთი“,** – აცხადებს პოლიტოლოგი.

როგორც თამარ კიკნაძე აცხადებს, დასავლეთის მიზანია საქართველომ უარი თქვას ფრენებზე, რომ ამ საშუალებით მაინც მოახერხოს საომარი ვითარების შექმნა.

**„ამიტომ, ხელისუფლებას ბეწვის ხიდზე უხდება სიარული. მეორე მხრივ პუტინის ეს განცხადება არის რაღაცნაირი გაფრთხილება, რომ მიხედეთ ოპოზიციას, რომელიც ასე ანტირუსულად არის განწყობილი. მაგრამ ნახეთ, საქართველო რუსეთისთვისაც საჭიროა და დასავლეთისთვისაც. ამიტომ, ახლა არის გადამწყვეტი პერიოდი – როგორი ინფორმაცია ექნება და როგორ გადაწყვეტილებებს მიიღებს საქართველო. თუ საქართველო ჭკვიანურად იმოქმედებს, მან შეიძლება მოგება ნახოს იგივე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხით და მათ შორის ეკონომიკური კუთხითაც“,** – აღნიშნა For.ge-სთან საუბრისას **თამარ კიკნაძემ.**

**თამთა ქარჩავა**

# ბიძინა ივანიშვილისა და CREDIT SUISSE-ის დავასთან დაკავშირებით ადვოკატების მთავარი სათქმელი




# მომთმენი და საერთაშორისო ნორმების დამცველი ბიზნესმენი ყოველთვის მოგებული გამოდის!



## 1. სინგაპურში მიმდინარე სამოქალაქო დავა

**სინგაპურის სასამართლოს 2023 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებით Credit Suisse Trust Limited-ს ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის წევრების სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება, 926 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.**

სასამართლომ გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ Credit Suisse Trust Limited-მა (მოპასუხე) დაარღვია ნაკისრი ვალდებულება, დაეცვა მოსარჩელეთა აქტივები, რითაც მათ მიაყენა ზიანი.

უნდა აღინიშნოს, რომ სინგაპურის სასამართლომ მოპასუხეს დაავალა დაკისრებული თანხის წინასწარი განთავსება, მოსარჩელეთა მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

სინგაპურის სასამართლომ გადაწყვეტილებაში, აგრეთვე, მიუთითა, რომ სასამართლოს მიერ დაკისრებულ 926 მილიონ აშშ დოლარს უნდა გამოაკლდეს ბანკის მიერ მორიგების საფუძველზე მოსარჩელეებისთვის გადახდილი დაახლოებით 79,430,773 მილიონი აშშ დოლარი. დაინტერესებულ პირებს შევახსენებთ, რომ აღნიშნული თანხა არის ის, რომელიც ბანკს შვეიცარიის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა გადაეხადა და რომლის გადახდაც დაახლოებით 3 წლით გაჭიანურდა. როდესაც სინგაპურის სასამართლოს მოსამართლე დაინტერესდა, ინფორმაცია ბანკის მიერ შვეიცარიის სასამართლოს გადაწყვეტილების სრულად შეუსრულებლობის შესახებ შეესაბამებოდა თუ არა რეალობას/სინამდვილეს, ბანკმა, როგორც ჩანს, იგრძნო საფრთხე, რომ აღნიშნულს შეიძლება უარყოფითად ემოქმედა მოსამართლის შინაგან რწმენაზე და გაააქტიურა მოლაპარაკების პროცესი და შემდეგ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გადაიხადა 79,430,773 მილიონი აშშ დოლარი.

სინგაპურის სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მხარეები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი, რომ ბერმუდის სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხა შესაბამისობაში მოვიდეს სინგაპურის სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხასთან, ერთი და იგივე ქმედებისთვის ორმაგი პასუხისმგებლობის დაკისრება რომ იქნეს თავიდან აცილებული, თუმცა უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული საკითხის მხედველობაში მიღება საგრძნობ გავლენას ვერ მოახდენს სინგაპურის სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობაზე.

## 2. ბერმუდაში მიმდინარე სამოქალაქო დავა

**როგორც დაინტერესებული პირებისთვის საზოგადოებისთვის არის ცნობილი, ბერმუდის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით Credit Suisse-ს (მასთან დაკავშირებულ იურიდიულ პირს) დაეკისრა 607 მილიონი აშშ დოლარის გადახდა.**

ამასთან, სასამართლომ მოპასუხეს დაავალა თანხის წინასწარი განთავსება. მოცემული მომენტისთვის თანხა (607 მილიონი აშშ დოლარი) განთავსებული არის კიდეც ე.წ. ესქროუ ანგარიშზე.

ბერმუდის პირველის ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ/მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო ინსტანციაში. საქმის არსებითი განხილვა დასრულდა ზემდგომ ინსტანციაში და გადაწყვეტილება გამოტანილი იქნება, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის სექტემბრამდე.

საქმის მასალების და მხარეთა არგუმენტების ანალიზის საფუძველზე არსებობს მოლოდინი, რომ უცვლელად დარჩება ბერმუდის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხისთვის 607 მილიონი აშშ დოლარის გადახდის დაკისრების თაობაზე.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ბერმუდისა და სინგაპურის იურისდიქციებში მიმდინარე საქმეების მიხედვით Credit Suisse-ს (მასთან დაკავშირებულ იურიდიულ პირებს), თუ გავითვალისწინებთ ადვოკატების ხარჯების ოდენობასაც, დაკისრებული აქვს მილიარდ ნახევარ აშშ დოლარზე მეტის გადახდა ბიძინა ივანიშვილის, მისი ოჯახის წევრებისა და დაკავშირებული იურიდიული პირების სასარგებლოდ.

## 3. შვეიცარიაში მიმდინარე სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები

**სამოქალაქო საქმე ეხება ბანკისთვის თანხის დაკისრებას. აღნიშნული მოთხოვნა მოიცავს ბანკისთვის იმ თანხების დაკისრებას, რომელიც უკანონო, ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც შვეიცარიის სასამართლოს მიერ არის დადგენილი, დანაშაულებრივი ქმედებით იქნა „მიტაცებული“ და რომელიც არ არის ბერმუდასა და სინგაპურში მიმდინარე დავების მსჯელობის საგანი/ნაწილი. მიმდინარე წლის ბოლოსთვის, სავარაუდოდ, გარკვეული პროგრესი უნდა იქნეს მიღწეული აღნიშნული მიმართულებითაც.**

სისხლის სამართლის საქმეც მიმდინარეობს ბანკის წინააღმდეგ. ერთი კვირის წინ შვეიცარიაში ადვოკატებს მიუვიდათ პროკურორის შეტყობინება, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოება გაიხსნა ბანკის წინააღმდეგ, ორგანიზაციული საკითხების მიმართულებით დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო. პროკურორმა ადვოკატებს, აგრეთვე, აცნობა, რომ ბანკის მიმართ ფულის გათეთრების ნაწილში იგეგმებოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტა და ადვოკატებს მიეცათ ვადა პოზიციების წარსადგენად.

ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ ბანკის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას ფულის გათეთრების ნაწილშიც. შესაბამისად, წარდგენილი იქნება შესატყვისი არგუმენტები და ადვოკატების მხრიდან აღნიშნული საკითხი, საჭიროების შემთხვევაში, გახდება კიდეც სასამართლოს მსჯელობის საგანი. ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ საქმის წარმოების შეწყვეტა, მოცემულ საქმეში, ეწინააღმდეგება შვეიცარიის სასამართლო პრაქტიკას და, თუ სასამართლოს მოუწევს აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა, წარმატების შანსი, რომ სისხლის სამართლის საქმეს მიეცეს მსვლელობა ბანკის წინააღმდეგ ფულის გათეთრების ნაწილშიც, არის საკმაოდ მაღალი.

## 4. დაბოლოს!

**წარმოგიდგენთ ინფორმაციას Credit Suisse-ის უკანონო და, როგორც ერთხელ უკვე ითქვა, დანაშაულებრივ ქმედებებს გადარჩენილ ფულად სახსრებთან და აქტივებთან დაკავშირებით.**

როგორც საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, ბანკის უკანონო ქმედებებს გადარჩენილი აქტივების დიდი ნაწილი Credit Suisse-დან გადატანილი იქნა სხვა შვეიცარიულ ბანკში (Julius Baer), თუმცა აქტივების მმართველად დარჩა Credit Suisse-ის ტრასტი, დაფუძნებული გენზის კუნძულზე.

ტრასტმა 2022 წლის მარტიდან შეცვალა დამოკიდებულება თავისი ვალდებულების შესრულების მიმართულებით: შექმნა დაბრკოლებები და შეუზღუდა ბენეფიციარებს აქტივებთან წვდომა. თავდაპირველად ვალდებულების შეუსრულებლობა ახსნა მიზეზით: „აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე გეოპოლიტიკური მოვლენები“.

შემდეგ კი სხვადასხვა ხელოვნური ბარიერით შეეცადა ვალდებულების შესრულების თავის არიდებას.

არსებული მდგომარეობიდან დარჩა ერთადერთი გამოსავალი, ტრასტის ხელშეკრულების შეწყვეტა და ტრასტის დაშლა, თუმცა Credit Suisse-ის ტრასტი, მოცემულ შემთხვევაშიც, შეეცადა გამოგონილი ბარიერით საკითხის გაჭიანურებას. კერძოდ, ტრასტმა მიუთითა, რომ სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება, ტრასტის დაშლა ეწინააღმდეგებოდა თუ არა არასრულწლოვანების და მომავალი/დაუბადებელი შთამომავლების ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მხარისთვის განჭვრეტადი იყო სასამართლო გადაწყვეტილების შედეგი, მაინც გახდა საჭირო მისთვის მიმართვა.

Credit Suisse-ის ტრასტი მაქსიმალურად შეეცადა გაეჭიანურებინა სასამართლო პროცედურებიც. ფაქტობრივად, ერთი წლის თავზე დადგა ის შედეგი, რომელიც თავიდანვე პროგნოზირებადი იყო და რომლის სასამართლოში განსახილველად მხოლოდ ერთი სხდომა იყოს საჭირო; ერთ სხდომაში მოხდა კიდეც მისი განხილვა.

გენზის კუნძულის სასამართლომ 2023 წლის 24 მარტს მიიღო გადაწყვეტილება არასრულწლოვანებისა და მომავალი/დაუბადებელი შთამომავლების სასარგებლოდ ტრასტის დაშლის თაობაზე.

მიუხედავად ამისა, Credit Suisseის ტრასტი აჭიანურებს ტრასტის ხელშეკრულების შეწყვეტას, ტრასტის დაშლასა და აქტივების ბენეფიციარების სურვილების შესაბამისად განაწილებას.

საქმეში ჩართულ ყველა ადვოკატს უჭირს სამართლებრივი ახსნა მოუძებნოს იმ გამოგონილ მიზეზებს, რომელსაც ბანკის ტრასტი იყენებს ტრასტის დაშლისა და აქტივების განაწილების გაჭიანურების მიზნით. მათი აზრითაც, ბანკის ტრასტის მიზეზები სამართლებრივ ჩარჩოებს სცდება.

დღევანდელი მოცემულობით, ბანკის ტრასტი აბრკოლებს ბენეფიციარების წვდომას აქტივებთან, თუმცა, ადვოკატები ვფიქრობთ, რომ მათ ფანტაზიებს, მიზეზების შეთხზვის თვალსაზრისით, ექნება საზღვარი და ბანკის ტრასტს მაინც მოუწევ ტრასტის დაშლაც და აქტივების განაწილებაც. სხვათა შორის, ხელშეკრულებაც ტრასტის დაშლის შესახებ და აქტივების განაწილების თაობაზე რეზოლუციის ტექსტიც შეთანხმებული არის მხარეებს შორის.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ტრასტის დაშლისა და აქტივების განაწილების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა არ გახდება საჭირო. ბანკის ტრასტი უკვე შეთანხმებულ დოკუმენტებს ხელს მოაწერს და გამოსცემს რეზოლუციას აქტივების განაწილების შესახებ. აღნიშნულით კი აღდგება შეუზღუდავი წვდომა აქტივებთან, იმ აქტივებთან, რომელთანაც წვდომა შეზღუდული არის 2022 წლის მარტიდან: როგორც Credit Suisse-ის ტრასტი ამბობს, **„აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე გეოპოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე...“**

**ადვოკატები**
**ლაშა კალანდაძე,**
**ნიკა გულუა**

# განაჩენი უმაღლესი მთავარსარდლისა

(პირველი გვერდიდან)

## „ავტოკეფალიის გაუქმება“

**რუსეთის მფლობელობაში საქართველოს ცალკეული სამეფოებისა და სამთავროების გაერთიანებასთან ერთად საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიაც რუსეთის ეკლესიას შეუერთდა. მას *სრულიად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი და უმართებულესი სინოდის საქართველოს საეგზარქოსო* ეწოდა და მისი დაარსების დღედ 1811 წლის 30 ივნისი გამოცხადდა. ამ დროს პატრიარქი ანტონ II, ძე ერეკლე მეფისა, უკვე საქართველოს ეკლესიის ერთპიროვნული მმართველი იყო, რადგან 1795 წელს დასავლეთ საქართველოს უკანასკნელი კათალიკოსის მაქსიმე II-ის გარდაცვალების შემდეგ ამ საყდრის გაუქმება ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა.**

ასე რომ, საეგზარქოსოს დაარსებამდე თხუთმეტიოდე წლით ადრე, 1796 წლის 30 მაისს, შვიდი საუკუნის განმავლობაში ორ საკათალიკოსოდ გაყოფილი საქართველოს ეკლესია გაერთიანდა. ამ გაერთიანების აქტი რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთებამდე ხუთი წლით ადრე განხორციელდა, რაც, ცხადია, რუსეთის კეთილისმყოფელ როლზე მიუთითებს. თუ ბიზანტიის დასუსტებას საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებად დაყოფა მოჰყვა, რუსეთის საერთაშორისო გავლენების გაძლიერებით საქართველო პოლიტიკურადაც და ეკლესიურადაც გაერთიანდა. საჭიროა შეხსენება, რომ შეკავშირებას ხელს უწყობს მეგობარი ქვეყანა, ხოლო დამპყრობელი „დაყავი და იბატონე“-ს პრინციპით მოქმედებს.

**განსაკუთრებით ყურადღება უნდა მივაქციოთ თვით რუსეთის მაშინდელი ეკლესიის სინოდური მმართველობის ფორმას, რომლის გაუთვალისწინებლობას ქართველი მეცნიერ-პუბლიცისტების დასკვნები ერთადერთ პოპულისტურ დებულებამდე დაჰყავს: „რუსეთმა ავტოკეფალია გაგვიუქმა“. რუსოფობთა მიერ ეს დემაგოგიურად ფორმულირებული სამი სიტყვა დიდი ხანია საფრთხობელად გამოიყენება და პაექრობის მოსურნესაც კი ფარ-ხმალს აყრევინებს. მაშინ, როცა აღნიშნული მოვლენის ობიექტურად შეფასებისთვის მხოლოდ ფაქტების სწორად აღნიშვნა არის საკმარისი.**

საქმე ისაა, რომ 1721 წლის 25 იანვარს რუსეთის იმპერატორმა **პეტრე დიდმა** გამოსცა მანიფესტი „სასულიერო კოლეგიის, ანუ სასულიერო კრების მთავრობის“ დაარსების შესახებ, რომელმაც **პატრიარქის იერარქიული ხარისხი გააუქმა და სასულიერო მთავრობა სენატს დაუქვემდებარა.** შემდგომ კოლეგიას ეწოდა **უწმიდესი და უმართებულესი სინოდი, რომლის მთავარ ზედამხედველად არასასულიერო პირი, ობერ-პროკურორი დაინიშნა.** ასეთ სიტუაციაში გასაკვირი არ არის, რომ „1783 წელს, როცა საქართველომ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებისადმი ქვეშევრდომობა აღიარა, საქართველოს მეფე **ერეკლემ,** რუსეთთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულება იკისრა საქართველოს საკათალიკოსოს გაუქმებისა და უწმიდესი სინოდისადმი საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარების შესახებ“ (Церковныя ведомостм, №2, 1901. С. 46.).

გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე არტიკულში წერია, რომ იმპერატორი საქართველოს კათოლიკოსს ანუ უმთავრეს მთავარეპისკოპოსს რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრად ამტკიცებს *„რიცხვთა შორის რუსეთისა მღვდელთმთავართასა მერვესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლსკისა“*. ე. ი. მაშინდელ საჭეთმპყრობელს, **ანტონ I**-ს მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოსის ტიტული ფორმალურად შენარჩუნებული ჰქონდა, მაგრამ იერარქიულად მიტროპოლიტებიც კი, ტობოლსკელის ჩათვლით, მასზე მაღლა იდგნენ. **ამიტომ სპეკულაციები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და პატრიარქის წოდების იძულებით გაუქმების თაობაზე მხოლოდ და მხოლოდ ორ ერთმორწმუნე ერს შორის დასაპირისპირებელ ინსტრუმენტად გამოიყენება და მას ისტორიულ სამართლიანობასთან არაფერი აკავშირებს.**

ისტორიულ მოვლენათა გამოძიებისა და შესწავლის საჭიროებაზე არავინ დავობს, მაგრამ თანამედროვე მკვლევარს, თუ იგი მართლმადიდებელი ეკლესიისა და მასში გაერთიანებული ერთმორწმუნე ერების გულშემატკივარია, მართებს გათვალისწინება ოფიციალურად გამოცხადებული დადგენილებისა. კერძოდ, რა ობიექტურობითაც არ უნდა დავასაბუთოთ წარსულში მომხდარ ამბავთა თუ კონკრეტულ პირთა ქმედების მორალური მიზანშეწონილობა, დღეს მისი გამოყენება მდგომარეობის გამწვავებისთვის არაკეთილსინდისიერ ქცევად ჩაითვლება, მით უმეტეს, თუ ადრინდელი პრობლემა დაპირისპირებულმა მხარეებმა ურთიერთმიტევებისა და ურთიერთსიყვარულის ძალით უკვე დიდი ხანია გადაწყვიტეს.

**სწორედ ამ რიგის საკითხებს განეკუთვნება რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობათა საქმე. მიუხედავად იმისა, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის კანონიკური კავშირი გაწყდა, 1943 წელს ორივე ავტოკეფალურმა ეკლესიამ წარსულს ჩააბარა ყოველგვარი საკანონმდებლო დავა და ანგარიშსწორება, და ლოცვითი და კანონიკური კავშირი აღადგინა*. ამ სასიხარულო მოვლენის ინიციატორები იყვნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა კალისტრატე (ცინცაძე) და სრულიად რუსეთის პატრიარქი სერგი (სტრაგოროდსკი). აღსანიშნავია, რომ კავშირის გაწყვეტის დროინდელი ორივე ტახტის მპყრობელიც აწ უკვე კანონიზებული წმინდანია – წმიდა პატრიარქი ტიხონი (ბელავინი) და წმიდა კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი (საძაგლიშვილი). ეს კიდევ ერთი დამატებითი პირობაა იმისა, რომ საეკლესიო საკითხების მკვლევარმა ტაქტის გრძნობა არ დაკარგოს და პიროვნებათა შეფასებისას ზნეობრივ საზღვრებს არ გასცდეს.**

ამ მხრივ, თავიანთი კრიტიკული „ქარ-ცეცხლით“ განსაკუთრებით გამოირჩევიან დასავლური სერტიფიკატებისა და დიპლომების მქონე ე. წ. თეოლოგები, რომელნიც, მაგალითად, პატრიარქი ტიხონის მიმართ ურცხვ ცილისწამებასაც არ თაკილობენ. მათი მსჯელობის უსაფუძვლობა ძნელი დასანახი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ კორექტული დისკუსიისთვის აუცილებელ პირობას: ეროვნულ ან პოლიტიკურ სიბრტყეზე საეკლესიო კანონთა პროექცირება, ანუ ერთმანეთში მათი აღრევა, დაუშვებელია.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ეკლესიებს შორის უთანხმოების მიზეზი გახდა არა რაიმე საეროზო საკითხი, არამედ საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის გამოცხადება რუსეთის წმიდა სინოდის კურთხევის გარეშე. როგორც სინოდის განჩინებაში (19.11.1943) არის აღნიშნული: „საეკლესიო თვალსაზრისით, იმპერიის მთელ ტერიტორიას, საქართველოს ჩათვლით, სათავეში ედგა წმიდა სინოდი და წარმოადგენდა ერთიან რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას. იმპერიის ფარგლებში სხვა, სინოდისაგან დამოუკიდებელ მართლმადიდებელ ეკლესიას, იურიდიულად არ ჰქონდა არსებობის უფლება. სწორედ ამან განაპირობა რუსი საეკლესიო სამართალმცოდნეების მკაცრი პოზიცია“. **მაგრამ ეს პრობლემა, როგორც აღვნიშნეთ, მალე 80 წელი გახდება, რაც აღმოფხვრილია და ამ პერიოდის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ეკლესიათა შორის რაიმე სერიოზულ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. დაპირისპირებას ცდილობენ მხოლოდ რუსოფობები, რომელთაც სინამდვილეში არც თავიანთი ეროვნული ეკლესია უყვართ.**

დღეს, როცა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე სოციალური ქსელებისა და მედიის მიერ ხელოვნურად გამოყვანილი ცრუ მეცნიერები ძალადობენ, ზერელე ცოდნაც სერიოზულად საღდება. ამიტომ მავანს ჰგონია, რომ საქართველო რუსეთს რომელიმე კონკრეტული მმართველის გადაწყვეტილებით შეუერთდა და პასუხისმგებლობაც მხოლოდ მას ეკისრება.

**გუნებრივია, ერთ წერილში მრავალ თემას, მით უმეტეს ხელმეორედ, ვერ განვიხილავთ, მაგრამ დასმული საკითხის ნათელსაყოფად ერთ-ერთი ადრინდელი ნარკვევიდან დასკვნა უნდა გავიმეოროთ: ბიზანტიის დაცემის შემდეგ, XV ს-დან მოკიდებული,ისტორიული სურათი საქართველოს რუსეთთან ინტენსიური ურთიერთობისა ცხადყოფს, რომ 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატის დამტკიცება და 1801 წ. საქართველოს რუსეთთან შეერთება არა ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის პირადი შეხედულებებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებებს წარმოადგენდა, არამედ ეს იყო ქართული დიპლომატიის დამაგვირგვინებელი პოლიტიკური აქტები, რომლებსაც საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი მაჰმადიანური გარემოცვის გასარღვევად საუკუნეების განმავლობაში ამზადებდნენ.**

**აქედან გამომდინარე, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის მოწინააღდეგე, ფაქტობრივად, ქართული პოლიტიკის იმ მაგისტრალური მიმართულების უარმყოფელად გამოდის, რომელსაც ჩვენი მოღვაწენი ხუთი საუკუნის განმავლობაში ადგნენ. ეს მიმართულება კი, თავის მხრივ, გაგრძელება იყო იმ პოლიტიკისა, რომელსაც საქართველო გაქრისტიანების დღიდან, ანუ IV ს-დან აწარმოებდა.**

## „ფრესკების განადგურება“

**ეკლესიის ისტორიაში ხატთმბრძოლთა სახელწოდებით ცნობილია წმიდა გამოსახულებათა მგმობი მწვალებლობა, რომელიც მკრეხელური თეოლოგიური შეხედულებების საფუძველზე ქრისტიანულ ხატებს, ფრესკებსა თუ მინიატიურებს მთელი სისასტიკით ებრძოდა. ეს ერესი ბიზანტიაში, განსაკუთრებით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში, VIII-IX სს-ში იყო გავრცელებული; XVI ს-დან, პროტესტანტულმა მიმდინარეობებმა ნოყიერი ნიადაგი შეუქმნეს რელიგიური ავტონომიების განვითარებას, რომელთაგან მრავალი დასავლური სექტა ხატთმბრძოლთა იდეების მატარებელი გახდა, მაგრამ მათ მართლმადიდებლური ეკლესიასთან არაფერი აკავშირებთ.**

ამიტომ, თუ ვინმე ანადგურებს ხატს, ჯვარს, ფრესკას ან ტაძარს, იგი მართლმადიდებელი არ შეიძლება იყოს. ამასთანავე, არ აქვს მნიშვნელობა, საკულტო ქმნილება რომელი ეროვნული შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს; აფრიკული და ამერიკული მართლმადიდებლური ხატი ისეთივე წმიდა საგანია, როგორც ქართული და რუსული, ჩინური და იაპონური. მსოფლიოს ყველა ადგილობრივი ეროვნული ეკლესია იმიტომ იწოდება ერთ ეკლესიად, რომ ჩვენ ერთი და იგივე სარწმუნოებრივი მოძღვრება და საეკლესიო საიდუმლოება გვაერთიანებს.

**ნუთუ საზოგადოებაში აღარ დაგროვდა იმდენი ცოდნა, რომ რუსებზე, როგორც ქართული ფრესკების შემთეთრებლებზე, გავრცელებულ ცილისწამებას ბოლო მოეღოს? როგორ გგონიათ, რუსზე გაბრაზებულმა ქართველმა რუსული ფრესკები რომ ჩამოფხიკოს, მას ქრისტიანი შეიძლება ვუწოდოთ? ან იქნებ ის გორგნეული ქართველები მოვიხსენიოთ მართლმადიდებლებად, გასული ს-ის 90-იან წლებში, ყალბი პატრიოტული შემართებით, საგურამოში სტაროსელსკების საგვარეულო სასაფლაო რომ დაარბიეს და ჯვრები დალეწეს?**

ვფიქრობთ, ნამდვილი ისტორიის აღსადგენად აუცილებელია გახსენება რუსი ხელოვანებისა, რომელნიც სწორედ რუსეთთან შეერთებულ საქართველოში, ეგზარქოსობის პერიოდში მოღვაწეობდნენ.

**გრიგოლ ადამოვი** 1891 წელს თბილისის ანჩისხატის ტაძრის რესტავრაციაში იღებდა მონაწილეობას; **პეტრე ამფილოვმა** XIX ს-ის შუა წლებში ალავერდის ტაძრისთვის შექმნა ოთხი ხატი, ხოლო თბილისის ფერისცვალების მონასტრის ძველი კედლის მხატვრობა განაახლა; **ნ. ანდრეევმა** 1901 წელს დაასრულა შიომღვიმის მონასტრის იოვანე ნათლისმცემლის თავისკვეთის ეკლესიის კანკელისა და საკურთხევლის მრავალი ხატის წერა, ასევე მან მოხატა შიომღვიმის სიონიც, რომელიც თავად გივი ამილახვრის სახსრებით განახლდა; **პოლიდორ ბაბაევს** (+1870 წ.), რომელიც ცნობილი მხატვრის კ. ბრიულოვის მოწაფე იყო, თბილისის ტაძრებისთვის ხატები აქვს დაწერილი; **ალექსანდრე ჟიდკოვსკიმ**, იმპერატორ ალექსანდრე III-ის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, 1888 წელს თბილისის ფერისცვალების მონასტრის ფრესკები და ხატები განაახლა; **ანდრიანე მალახოვმა** XIX ს-ის შუა წლებში თბილისის სემინარიის ეკლესიის სამეუფო კარი მოხატა და სიონის ტაძრისთვის ორი ხატი დაწერა, ასევე შუამთისა და ქვაბთახევის მონასტერთა კანკელის ხატებიც მისი შექმნილია. საეგზარქოსოსთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე მასვე უნდა განეახლებინა ბიჭვინთის ტაძრის ძველი მოხატულობა, მაგრამ საქართველოსკენ მომავალი გზაში გარდაიცვალა; **მაკარ მინინმა** 1855 წელს სამთავროს ტაძრისთვის მრავალი ხატი შექმნა; **პეტრე ნასენკინმა** XIX ს-ის შუა წლებში ალავერდის ტაძრის კანკელი მოხატა და განაახლა; მანვე სოფ. გუდანისა და ახიელის ეკლესიებისთვის ხატები დაწერა; **პეტრე ნორევს** დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში, იგი 1856 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიასთან არსებულ თბილისის ხატწერის კლასს ხელმძღვანელობდა; მასვე ეკუთვნის აკვარელით შესრულებული „დედოფალი თამარი», რომელიც გ. შარაძეს 1970 წელს აღმოუჩენია; **თეოდორე რუბცოვმა** გუდანისა და ახიელის ეკლესიათა კანკელი მოხატა და მოავარაყა, ხოლო 1861 წელს თბილისის ფერისცვალების მონასტერში კანკელი დადგა. საინტერესოა, რომ დავით გარეჯელის



მიხეილ ნესტეროვის მიერ მოხატული აბასთუმნის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი.

* *ჟურნალი საუნჯე, №1, 2011, რუსეთის წმინდა სინოდის განჩინება, გვ 90-106//ЖМП №3, 1944*

სარკოფაგის მოწყობა მას ჰქონია მინდობილი; **ვასილი სოლოხოვი** XIX ს-ის მეორე ნახევარში ალავერდის ტაძრის კანკელის ხატწერაში მონაწილეობდა; **მიხეილ ტროშჩინსკიმ** 1855-1856 წლებში თბილისის სიონში მნიშვნელოვანი ფერწერული სამუშაოები შეასრულა, მარტყოფის მონასტრის გუმბათიანი ტაძარიც მისი მოხატულია; **თეოდორე ხლამოვმა** 1859-1861 წლებში დაწერა და განაახლა ხატები და კანკელი ალავერდის ტაძრისა. იგი ამავე წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში ხატწერას ასწავლიდა. მანვე გუდანისა და ახიელის ეკლესიების კანკელის ხატები დაწერა; **თეოდორე ჩერნოვმა** 1856 წელს სიონის ძველი კანკელი სვეტიცხოველში გადაიტანა და სამეუფო კარისთვის ხატები დაწერა; მან 1854 წელს ქვათახევის განახლებულ მონასტერში ახალი კანკელი დადგა. სამეუფო კარიც მისი დამზადებულია (1855 წ.).

დაბოლოს, გავიხსენოთ ცნობილი მოღვაწენი: თავადი **გრიგოლ გაგარინი**, რომელმაც ანჩისხატისა და სვეტიცხოვლის ფრესკები აღადგინა და თავისი ხარჯით თბილისის სიონის ტაძარი ცვილის საღებავებით მოხატა (1850 წ.), და სახელგანთქმული **მიხეილ ნესტეროვი**, მომხატველი აბასთუმნის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრისა (ფრესკებისა და კანკელის კომპოზიციათა რაოდენობა 50-ს სჭარბობს), რომელიც 1898 წელს საქართველოში სამუშაოდ იმპერატორ ნიკოლოზ II-ის უმცროსმა ძმამ, უფლისწულმა გიორგიმ მოიწვია.

**რუს მოღვაწეთა წარმოდგენილი არასრული სია ნუთუ არ გვარწმუნებს იმაში, რომ რუსეთის იმპერიის პოლიტიკა არა ხატთმებრძოლობის, არამედ ხატთმწერლობისკენ იყო მიმართული? – თუ თქვენ სააზროვნო სფეროდან ლოგიკა არ გამოდევნეთ და რუსთმოძულეობით გონება არ დააბნელეთ, მაშინ დასმულ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემაც არ გაგიჭირდებათ.**

სხვათა შორის, ტაძრების შეთეთრების მოარულ ამბებზე ორ შემთხვევასაც გავიხსენებთ, რომელიც მკითხველისთვის, ალბათ, საგულისყურო იქნება.

1892 წელს, საქართველოში სტუმრად მყოფი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული 1 მაისს სვეტიცხოველში უნდა მიბრძანებულიყო. საქართველოს ეგზარქოსმა, მეუფე პალადიმ ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ მცხეთის ტაძარი შესაფერისად მოემზადებინა. „კედლები და თაღები ტაძრისა ადგილ-ადგილ, სადაც მხოლოდ შიშველი ქვები ჩანდა, შეაბათქაშეს(ე.ი. გაჯით ან კირით შელესეს); აქა-იქ შემორჩენილი ადრინდელი ფერწერა განბანეს და განაახლეს, იატაკი შეძლებისდაგვარად მოაშანდაკეს და ტაძრის შიგნით თითქმის მთლიანად თეთრად შეღებეს“ (Прибавления к Церковным ведомостям, №23, 06.06.1892. С. 841).

აჰა, ბატონო, ეგზარქოსის მთელი დანაშაული: იატაკისა და შიშველი ქვების შეთეთრება! არც ეს გამოგვრჩეს: იმპერატრიცას ტაძარში შებრძანების შემდეგ საეგზარქოსო გუნდს სლავურად და ქართულად(!) შეუსრულებია „აცხოვნე, უფალო, ერი შენი“ და „ქრისტე აღდგა“. ჟურნალში ასევე აღნიშნულია, რომ მეუფე პალადის სვეტიცხოვლის მოხატვაზეც უზრუნვია, ამისთვის საჭირო სახსრებიც გამოუნახავს და ამ საგანზე არქეოლოგიურ საზოგადოებასთან მიწერ-მოწერასაც შედგომია.

ჩვენთვის საინტერესო მეორე ფაქტი ნეკრესის ეკლესიის 1762 წლის გუჯარმა, ანუ იმ დროის საბუთმა შემოგვინახა, როცა საქართველო რუსეთთან ჯერ არ იყო შეერთებული. კათოლიკოსი იოსები საზოგადო ეპისტოლეთი ნეკრესის ეპისკოპოს დოსითეს, სხვა საკითხებთან ერთად, ატყობინებდა: (თუკი ეკლესიის კედლები გაშავდა, მაშინ ისინი უნდა მოვაბათქაშოთ და შევათეთროთო“ (Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджари, Тифлис 1881. С 41). იმედი ვიქონიოთ, რომ ქართველ კათალიკოსს რუსთა წინამორბედ ხატმბრძოლად არ გამოაცხადებენ.

**ჩვენ კი, ღმრთის შეწევნით, დემაგოგებთან ბრძოლაზე უარს არასდროს ვიტყვით და მშვიდობას გოროტებასთან შეგუების საწინდრად არ გადავაქცევთ.**



**ბერდიაკონი**
**გიორგი (რუხაძე),**
**ფილოსოფიის დოქტორი.**
**26-29.06.2023**

# „პოეზიის დედოფალი“

**თბილისის საკრებულოში ანა კალანდაძის ხსოვნისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო – „ანა პოეზიის დედოფალი“ გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები ესწრებოდნენ.**

დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში გამართული შემოქმედებითი საღამო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა, გახსნა. სწორედ მისი ინიციატივით მოეწყო ეს მშვენიერი დღესასწაული. მან ქართულ პოეზიაში ანა კალანდაძის ფენომენის მნიშვნელობასა და ყველა თაობის საყვარელი ქალი პოეტის შემოქმედებაზე ისაუბრა.



**„პირველი ლექსების გამოქვეყნებისთანავე შეიყვარა ქართველმა ხალხმა ახალგაზრდა ანა კალანდაძე და დღეს იგი ყველა თაობისთვის საყვარელი პოეტია. მას სიცოცხლეშივე უწოდეს „პოეზიის დედოფალი“,** – განაცხადა თინათინ ნიბლოშვილმა. საღამოზე დამსწრე საზოგადოებას ანა კალანდაძის შესახებ პოეტის ოჯახის წევრმა თინა ყანდარელმა მოუთხრო, მსახიობმა ლეო ანთაძემ კი ლექსი „საქართველოო, ლამაზო“ წაიკითხა.

ანა კალანდაძის შემოქმედებაზე ისაუბრეს ლიტერატურის კრიტიკოსმა ლევან ბრეგაძემ, ფილოლოგმა და ენათმეცნიერმა ავთანდილ არაბულმა, პოეტმა და ფოლკლორისტმა ეთერ თათარაიძემ და მამა ადამ ახალაძემ

ლიტერატურის კრიტიკოსმა სოსო ჭუმბურიძემ წაიკითხა მცირე მოხსენება თემაზე „ანა დისიდენტი და ანას ჰუმანიზმი“. მსახიობებმა ზვიად დოლიძემ, რუსუდან ბოლქვაძემ და ფიქრია ნიქაბაძემ ანა კალანდაძის ლექსები და პოეტის დღიურებიდან ამონარიდები წარუდგინეს საზოგადოებას.

ანა კალანდაძის უკვდავ ლექსებზე შექმნილი სიმღერები კი ტრიო „ახალმა ხმამ“ და ანსამბლმა „დრომ“ შეასრულეს.

# ქართული დოკუმენტური ფილმის წარმატება




მარიამ ჭაჭიასა და ნიკ ვოიგთის „ჯადოსნური მთა“ საერთაშორისო კინოფესტივალზე „დოკს ბარსელონა“ საუკეთესო დოკუმენტური ფილმის პრიზით დაჯილდოვდა.

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, ფილმი მარიამ ჭაჭიას მოგზაურობის შესახებ მოგვითხრობს აბასთუმნის ტუბერკულოზის დისპანსერში და, ამავე დროს, წარმოადგენს მნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც საქართველოში ტუბერკულოზის უკანასკნელი დისპანსერის ცხოვრებას ასახავს.

„ჯადოსნური მთა“ შექმნილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით. ფილმის მსოფლიო პრემიერა ახლახანს გაიმართა მიუნხენში, კინოფესტივალზე – Djr.atcn.Meybw/.

# ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე - მაფიის ბოსის როლში

**ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე პოპულარულ გერმანულ დეტექტიურ სერიალში „Tatort“ (დანაშაულის ადგილი) გადაიღეს. სერიალი 1970 წლიდან გადის გერმანულოენოვანი არხების ეთერში და ყველაზე ხანგრძლივი გერმანული სერიალია. ლაშა ბაქრაძე კი მასში მაფიის ბოსის როლს თამაშობს.**



ეს სერიალი, ალბათ ყველაზე პოპულარულია გერმანიაში. იყო დრო, როცა ქუჩები ცარიელდებოდა, როცა „ტატორტ“ გადიოდა და ფეხბურთის ტრანსლაციებს უწევდა კონკურენციას.

დღესაც, როცა ტელევიზიას დიდი კონკურენცია გამოუჩნდა და იმდენი ხალხი აღარ უყურებს, როგორც წინათ – „ტატორტს“ საშუალოდ 10 მილიონამდე მაყურებელი ჰყავს.

სერიალში ასევე თამაშობენ ქართველი მსახიობები: თემიკო ჭიჭინაძე და მარიამ ავალიანი. ახალი სეზონის პრემიერა მიმდინარე კვირაში შედგება, გერმანიის პირველ არხზე, ასევე ავსტრიისა და შვეიცარიის ტელევიზიებში.

# აჭარაში სეზონი „ზაფხულის ფესტივალით“ იხსნება

**3-4 ივნისს ბათუმი „ზაფხულის ფესტივალს“ უმასპინძლებს, რომლითაც აჭარაში საზღვაო ტურისტული სეზონი ოფიციალურად გაიხსნება. ყველაზე ფერადი და საინტერესო ფესტივალი უცვლელი სლოგანით – „ზაფხული იწყება აქ“, ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდება. ფესტივალის მუსიკალურ პროგრამაზე, ქართველი შემსრულებლები, ბენდები და დიჯეები იზრუნებენ. მათ შორის იქნებიან ადგილობრივი და მოწვეული ბენდები „სალიო“, „არა“, „მონსტერ ლობსტერი“, LOUDSPEAKERS, ნუცა ბუზალაძე, „ანიკი“ „ასეა სულ“, „ლურჯი იალქანი“ და სხვა.**




დღის განმავლობაში ფესტივალზე იფუნქციონირებს ღია კაფე-ბარები, ზღვის სანაპიროზე გაიმართება ფრანების შოუ, 16:00 საათიდან კი ფესტივალზე მრავალფეროვანი სპორტულ-გასართობი აქტივობებია დაგეგმილი: დრამების შოუ, პანტომიმა, ავიაშოუ, საბავშვო აქტივობები, საცოცი კედელი, STREET ART და სხვა გასართობი ღონისძიებები, რაც ყველა ასაკისა და კატეგორიის სტუმარზე იქნება გათვლილი. გასული წლებისგან განსხვავებით წელს ზაფხულის ფესტივალი ორ დღეს გაგრძელდება. მასზე დასწრება თავისუფალია.

# სოსო ჯაჭვლიანი ცოცხალია!

**სოციალურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია მსახიობ სოსო ჯაჭვლიანის გარდაცვალების შესახებ.**

სამწუხაროდ ონლაინ პლატფორმებმა ეს ამბავი ელვის სისწრაფით აიტაცეს და ავრცელებდნენ სხვადასხვა გვერდებზე.

უკვე მერამდენე შემთხვევაა, ონლაინ მედიაში მსგავსი ინფორმაციის გახმაურების. ცოტა ფრთხილად ადამიანებო. არ შეიძლება რეიტინგსა და სკანდალზე იყოთ მუდამ დაგეშილები. მითუმეტეს როცა ადამიანის სიცოცხლეზე გვაქვს საუბარი. იმაზე მაინც იფიქრეთ, რომ ამ ადამიანებს ოჯახები ჰყავთ.

ამ ამბის გავრცელებიდან რამდენიმე საათში პოლიტიკოსმა და სოსოს მეგობარმა დავით ლორთქიფანიძემ სოსო ჯაჭვლიანთან გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა წარწერით: **„სურათი ამ წუთასაა გადაღებული, ჯანმრთელობის პრობლემები კი აქვს სოსოს, მაგრამ ამასაც მოერევა“,** – აცხადებს „ქართული ოცნების“ ყოფილი დეპუტატი. ცოტა ფრთხილად კოლეგებო, ცოტა ფრთხილად – ეს ყველაფერი არანაირ ეთიკაში აღარ ჯდება...

**რუსუდან ქობულია**



# ეკონომიკური განვითარების ფორუმი თბილისში




**თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ორგანიზებით 2023 წლის 30-31 მაისს, სასტუმროში „რედისონ ბლუ ივერია“ გაიხსნა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-13 ფორუმი, სახელწოდებით „მდგრადი განვითარება – მწვანე, ჭკვიანი, ბიზნეს-მეგობრული“.**

ღონისძიება დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ გახსნა. დედაქალაქის მერმა სიტყვით გამოსვლისას ეკონომიკური განვითარების ახალ გამოწვევებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე ისაუბრა.

**„ეკონომიკური განვითარების ცვალებადი პარადიგმებისა და სწრაფად მზარდი გამოწვევების ეპოქაში, განვითარების თანამედროვე ტენდენციებისა და ცხოვრების ადეკვატური სტანდარტების უზრუნველყოფა, ჩვენგან მოითხოვს რაციონალურ, გონივრულ და ეფექტიან გადაწყვეტილებებს.**

**ეკონომიკის გააქტიურება და სიცოცხლისუნარიანი, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური სისტემის გაზრდა, ურბანული პროექტების განხორციელება, ბიზნეს – მეგობრული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ინვესტიციების მოზიდვა და ინოვაციების დანერგვა ჩვენი დღის წესრიგის უმთავრესი პრიორიტეტია და არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით.**

**დამეთანხმებით, რომ მარტო ხელისუფლება ამ ურთულეს გზაზე უძლურია და მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მჭიდრო თანამშრომლობით და ურთიერთმხარდაჭერით.**

**შემიძლია ამაყად ვთქვათ, რომ დღეს, ჩვენს დედაქალაქში, ურბანული განვითარების პროექტების განხორციელების ტემპი საკმაოდ მაღალია.**

**ჩვენ, სკრუპულოზურად ვუდგებით ქალაქის თითოეული უბნის კეთილმოწყობას და სწრაფი ტემპით მივიწევთ წინ. ვაცოცხლებთ ძველს და ვქმნით ახალს. სიღრმისეულად ვიაზრებთ ყველა არსებული გამოწვევის არსს, რომელიც საჭიროებს მრავალმხრივი მიდგომების ჩამოყალიბებას და სწორი აქცენტების დასმას. ეს კი დაუღალავი შრომით და ჩვენი საზოგადოების ყველა ჯგუფის სრული ჩართულობით მიიღწევა. ჩვენს მთავარ ორიენტირს ჩვენი მოქალაქეები წარმოადგენენ“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

**ღონისძიების მხარდამჭერები არიან გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP საქართველო, M4EG), ევროკავშირი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), დანიის საელჩო, შვეიცარიის საელჩო. ასევე კომპანიები: „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, „ქალაქური“, „სარაჯიშვილი“.**

# ახალი სახელმწიფო პროგრამა მთაში მცხოვრები მეწარმეებისთვის



**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მედიასთან გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ახალი პროგრამის მიზანი მაღალმთიან დასახლებებში, სადაც ეკონომიკური აქტივობა შედარებით დაბალია, კერძო სექტორის განვითარების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის და ადგილობრივი მცხოვრებლების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობაა.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, პროგრამა განხორციელდება მაღალმთიან დასახლებებთა ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ დასახლებებში და ითვალისწინებს როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით დაფინანსებას.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება როგორც შემნახველი, გადამმუშავებელი საწარმოები, მარნები, მცირე საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები, ასევე სხვა ნებისმიერი ბიზნესიდეა, გარდა პროგრამით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. მათივე ცნობით, ეს გამონაკლისები პროგრამაშია გაწერილი და მოიცავს სამშენებლო საქმიანობას, დეველოპერულ საქმიანობას, სავაჭრო ობიექტებს, სატრანსპორტო მომსახურებას და ა.შ. ასევე გამონაკლისებშია სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის წარმოება, ვინაიდან ეს მიმართულება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და ყველასთვის ხელმისაწვდომია.



**„ვფიქრობ, ახალი პროგრამა მნიშვნელოვან სტიმულს მისცემს მაღალმთიან დასახლებებში სხვადასხვა საქმიანობის წამოწყებას, მათ შორის, ახალგაზრდების ჩართულობას; მათ ექნებათ დამატებით 10% თანადაფინანსება. პროგრამა ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებას“.**

ამასთან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსება ერთ პოტენციურ ბენეფიციარზე შეადგენს არანაკლებ 30,000 ლარს და არაუმეტეს 100,000 ლარისა, მაგრამ არაუმეტეს წარმოდგენილი პროექტის ჯამური ღირებულების 50%-ს.

**„დამატებითი 10%-იანი ბენეფიტია განსაზღვრული ახალგაზრდა მეწარმეებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის. აღსანიშნავია, რომ პროექტის ჯამური ღირებულება განაცხადის წარმოდგენის მომენტისთვის არ უნდა აღემატებოდეს 500 000 ლარს.**

**ამ ეტაპზე პროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრულია ხუთი მილიონი ლარის ოდენობით. სოფლის განვითარების სააგენტო განაცხადების მიღებას ივნისის მეორე ნახევრიდან დაიწყებს“,** – აღნიშნულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციაში.

# რეჯეფ თაიფ ერდოღანი:
## ...თქვენ ხედავდით, რა ბინძურ თამაშებს თამაშობდნენ, თუმცა ისინი დამარცხდნენ



**თურქეთისთვის ბოლო ათი წლის განმავლობაში დაგებული ყველა ხაფანგი, მის ზურგში დამიზნებული ყველა მახვილი, ყველა ფეხის დადება დღეს თავიდან აცილებულია,** – ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა პრეზიდენტის სასახლეში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

**„განა გერმანულმა, ფრანგულმა და ინგლისურმა ჟურნალებმა არ გამოიყენეს ყდები ერდოღანის გასანადგურებლად?! განა ისინი არ აფორმებდნენ ამ გარეკანებს?! თქვენ ხედავდით გაერთიანებებს, რომლებიც იქმნებოდა ჩვენს წინააღმდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში. თქვენ ხედავდით, ვინ ვისთან იყო. თქვენ ხედავდით, ვინ იდგა ჩვენ წინააღმდეგ ტერორისტული ორგანიზაციებიდან დევიანტურ მოძრაობებამდე. თქვენ ხედავდით, რა ბინძურ თამაშებს თამაშობდნენ. თუმცა, რა მოხდა?! ისინი დამარცხდნენ. იმიტომ, რომ ხალხმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რამდენად ძლიერია მისი სიბრძნე და წინდახედულობა. და სწორედ ამიტომ, ისინი, ვინც ცდილობენ, თურქი ერის სისუსტე იპოვოს, მაინც დამარცხდებიან“,** – განაცხადა ერდოღანმა.

**„თუ გახსოვთ, ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ როდესაც გავიმარჯვებთ, ჩვენს ქვეყანაში დამარცხებული არ იქნება. ჩვენი გამარჯვებით დამარცხებული იქნებიან მხოლოდ ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებით ბინძური სცენარის ავტორები და მათი ინსტრუმენტები, ტერორისტული ორგანიზაციები და მევახშეები. დღეს ჩვენ იმავე დაპირებას ვიძლევით, დღეს არავინ არის წაგებული, 85 მილიონი გამარჯვებულია... დადგა დრო, ყველა დებატი და კონფლიქტი გვერდით გადავდოთ და გავერთიანდეთ ჩვენი ეროვნული მიზნებისა და ოცნებებისთვის“,** – განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა.

# ყველამ ისე უნდა იცხოვროს, როგორც ამერიკას აწყობს?!

**აშშ-ის მთავრობა შეშფოთებულია პოლონეთის ხელისუფლების მიერ ახალი კანონის მიღებით, რომელიც პოლონეთში რუსეთის გავლენის გამოსაძიებლად კომისიის შექმნას ითვალისწინებს,** – ამის შესახებ ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის გაცხადებაში.

უწყების განცხადებით, ახალი კანონმდებლობა შესაძლოა, გამოყენებული იყოს პოლონეთში თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში ჩარევისთვის, ოპოზიციონერი პოლიტიკოსების კანდიდატურების ბლოკირებისთვის.

**„ჩვენ ვიზიარებთ მრავალი დამკვირვებლის მიერ გამოთქმულ შეშფოთებას, რომ კანონი, რომელიც რუსეთის გავლენის გამოსაძიებლად კომისიის შექმნას ითვალისწინებს, შესაძლოა, იყოს გამოყენებული ოპოზიციონერი პოლიტიკოსების კანდიდატურების ბლოკირებისთვის სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე“,** – ნათქვამია განცხადებაში.

სახელმწიფო დეპარტამენტი მოუწოდებს პოლონეთის მთავრობას, უზრუნველყოს, რომ ამ კანონმა არ შეზღუდოს ამომრჩეველთა შესაძლებლობა, ხმა მისცენ მათ რჩეულ კანდიდატს და რომ ის არ იყოს ამოქმედებული ან ბოროტად გამოყენებული იმგვარად, რომ გავლენა მოახდინოს არჩევნების ლეგიტიმურობაზე.

**შეგახსენებთ, გუშინ პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ განაცხადა, რომ ხელს მოაწერს კანონს ქვეყანაში რუსეთის გავლენის გამოსაძიებლად კომისიის შექმნის შესახებ. კანონის კრიტიკოსები აცხადებენ, რომ ამ ინიციატივის მიზანია მმართველი პარტიის ოპონენტების პოლიტიკური არენიდან ჩამოშორება. კერძოდ, კი ოპოზიციის ლიდერის, დონალდ ტუსკის. შესაბამისი კანონი პოლონეთის პარლამენტმა 26 მაისს დაამტკიცა. პოლონეთში საპარლამენტო არჩევნები შემოდგომას არის დაგეგმილი.**

კრიტიკაზე საპასუხოდ ანჯეი დუდა აღნიშნავს, რომ კანონი არ აძლევს უფლებას კომისიას, ჩამოაშოროს ვინმე საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ ცხოვრებას. პრეზიდენტი ასევე ამბობს, რომ კანონს განსახილველად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაუგზავნის.



ტრიუმფი

# ხალიჩის რაინდები

**რუმინეთში ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში 20-წლამდელთა შორის დუმიტრუ პირვულესკუს და ვასილე იორგას სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, სადაც ქართველმა ფალავნებმა 10 წონაში 8 ოქროს მედალი მოიპოვეს.**

ჩემპიონები ანრი ხოზრევანიძე (60 კგ), რატი ხოზრევანიძე (63 კგ), ნიკა ბროლაძე (67 კგ), ანრი ფუტკარაძე (72 კგ), დათა ჩხაიძე (82 კგ), აჩიკო ბოლქვაძე (87 კგ), გორ აივაზიანი (97 კგ) და რატი ტალიკიშვილი (130 კგ) გახდნენ, ვერცხლის მედალს თორნიკე მიქელაძე (77 კგ) დაეუფლა, ბრინჯაო კი გიორგი უერთაშვილმა (72 კგ) და ლუკა გაზისონიამ (130 კგ) მოიპოვეს. **საქართველოს ნაკრებმა ტურნირი პირველი ადგილით დაასრულა.**



კორტზე

# ფრანგებიც უსტვენენ



**როლან გაროსის პირველ რაუნდში მარტა კოსტიუკი ბელარუს არინა საბალენკას დაუპირისპირდა და 0:2 დამარცხდა, მატჩის შემდგომ კი უკრაინელმა მეტოქეს ხელი არ ჩამოართვა, რამაც ფრანგი გულშემატკივრების უკმაყოფილება და სტვენა გამოიწვია.**

უკვე ცნობილია ის, რომ უკრაინელი გოგონები რუს (თუკი სადმე თამაშობენ) და ბელარუს გოგონებს ხელს არ ართმევენ და ამის მიზეზი ყველასთვის ცნობილია, თუმცა, როგორც ჩანს, ფრანგ გულშემატკივრებს ეს ან არ სიამოვნებთ, ან უბრალოდ არ იციან რა ხდება.

**„ამას ნამდვილად არ ველოდი. ხალხს ნამდვილად უნდა რცხვენოდეს თავიანთი საქციელის. მინდა ხალხის რეაქცია ომის დასრულებიდან 10 წლის შემდეგ ვნახო. დარწმუნებული ვარ თავიანთი საქციელის გამო თავს კარგად ნამდვილად არ იგრძნობენ“**, – განაცხადა უკრაინელმა ჩოგბურთელმა. მატჩისშემდგომ ამ მომენტზე კომენტარი საბალენკამაც გააკეთა:

**„ჩვენ უკვე ვიცით, რომ უკრაინელი გოგონები ხელს არ გვართმევენ, ასე რომ ეს ნამდვილად აღარ გვაკვირვებს, მაგრამ ხალხისთვის ეს ალბათ, მოულოდნელი იყო. მათ ეს ჩემს უპატივცემულობად ჩათვალეს და ამიტომაც უსტვენდნენ. თავდაპირველად, მეგონა ეს უკმაყოფილება ჩემი მისამართით იყო, თუმცა ამასთან პრობლემა არ მქონია“** – განაცხადა საბალენკამ. კოსტიუკისთვის ტურნირი უკვე დასრულდა, საბალენკა კი როლან გაროსის მეორე რაუნდში თანამემამულე შიმანოვიჩს დაუპირისპირდება.

# ორიოდე სიტყვით

## ძიუდო

**ლინცი (ავსტრია).** გრან პრი. საქართველოს ნაკრები (4 მონაწილე) – 2 მედალი. **ბრინჯაო** – დიმიტრი გოჩილაიძე, ზაურ დვალიშვილი (ორივე – 81 კგ).

## კალათბურთი

**საქართველოს სუპერლიგა.** ფინალი. რუსთავი – თსუ 75:87 (სერიის ანგარიში – 2:3) **ლექსო ლაფანაშვილის** გაწვრთნილი გუნდი პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი, მისი ლიდერი, ეროვნული ნაკრების რეკორდსმენი ჩატარებული შეხვედრების რაოდენობით **გიორგი ცინცაძე** კი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნიეს.

**იტალიის სერია „ა“.** ნახევარფინალი. ვირტუსი – ტორტონა 84:61 (სერიის ანგარიში – 1:0). **თორნიკე შენგელია** – 10 ქულა.

**ესპანეთის ლიგა ენდესა.** მეოთხედფინალი. ტენერიფე – უნიკახა 59:72 (სერიის ანგარიში – 0:1). **გიორგი შერმადინი** – 10 ქულა.

**ნბა-ს აღმოსავლეთის კონფერენცია. ფინალი.** ბოსტონი – მაიამი 84:103 (სერიის ანგარიში – 3:4). დიახ, სასწაული არ მოხდა, არადა, მასპინძლებს რომ გადამწყვეტი საშინაო მატჩი მოეგოთ, პირველები იქნებოდნენ ნბა-ს ისტორიაში, ოქროს ბეჭდისთვის ბრძოლის უფლება სამქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრის შემდეგ რომ მოიპოვეს. სხვათა შორის, მათ ბედმაც უმუხთლათ, რადგან შეხვედრის დასაწყისშივე კოჭი იღრძო სელტიქსის ლიდერმა ტეიტუმმა და ცალი ფეხით მხოლოდ 14 ქულა მოაგროვა.

## ხელბურთი

**იმედო ფხაკაძის სახელობის საქართველოს თასის ფინალი.** „შავი ზღვის ბიჭები“ (ბათუმი) – „პეგასი“ (თბილისი) 26:23. ეს ზღვისპირელთა მეოთხე ტრიუმფია აღნიშნულ ტურნირში.

## ფეხბურთი

**კრისტალბეთ ეროვნული ლიგა მე-17 ტური.** დინამო – ბათუმი 1:2, სამგურალი – დილა 2:2, თელავი – საბურთალო 0:3, ტორპედო – შუქურა 1:2, გაგრა – სამტრედია 0:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** ბათუმი – 38, საბურთალო – 35, სამგურალი – 33, დინამო, დილა – 31-31, ტორპედო – 20, შუქურა – 12, გაგრა, სამტრედია, თელავი – 11-11 ქულა.

**1 ივნისს ითამაშებენ:** შუქურა – გაგრა, სამტრედია – სამგურალი, საბურთალო – დინამო, დილა – თელავი, ბათუმი – ტორპედო.

**ბომბარდირები:** ფლამარიონი (ბათუმი) – 12, იმრანი (დინამო), გეილი (დილა), ნიქაბაძე (სამგურალი) – 9-9, მარუშიჩი (დინამო), სილაგაძე (საბურთალო) – 7-7 გოლი.

## რაგბი

**საქართველოს ჩემპიონატი.** უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი შეხვედრა. აკადემია – არმია 24:26 (პირველი მატჩი – 17:12). ამრიგად, აკადემია დიდ – 10-ში დარჩა.

## ფორმულა - 1

**მონტე კარლო (მონაკოს გრან პრი).** 78 წრე. პოდიუმი. მაქს ფერსტაფენი (რედ ბული, ნიდერლანდები), ფერნანდო ალონსო (ასტონ მარტინი, ესპანეთი), ესტებან ოკონი (ალპინი, საფრანგეთი).

ეს ნიდერლანდელი კარიერაში 39-ე გრან პრი, აღნიშნულ ტრასაზე მეორე და სეზონში მეოთხე გამარჯვებაა. **საერთო ჩათვლა:** ფერსტაფენი – 144, სერხიო პერესი (რედ ბული, მექსიკა) – 105, ალონსო – 93 ქულა. **კონსტრუქტორთა თასი:** რედ ბული – 249, ასტონ მარტინი – 120, მერსედესი – 119, ქულა. მომდევნო ეტაპს – ესპანეთის გრან პრის დამდეგ უქმეებზე ხერესის ავტოდრომი უმასპინძლებს.



# საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა სახელობის სკოლა

**თბილისის 32-ე საჯარო სკოლას აფხაზეთის ომსა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების, ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელი მიენიჭა.**

ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე დავით სუჯაშვილი, ადგილობრივი საკრებულოს წარმომადგენლები, მე-4 ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეები და დაღუპული გმირების ოჯახის წევრები დაესწრნენ. **მინისტრის მოადგილემ სიტყვით მიმართა სტუმრებს და სამშობლოსთვის დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების გმირობაზე ისაუბრა. სტუმრებმა საზეიმოდ გახსნეს სკოლის აბრა და გმირების მემორიალური დაფა, მე-4 ქვეითი ბრიგადის სამხედროებმა კი სკოლას საჩუქრად სამახსოვრო დაფა გადასცეს. ბესარიონ კივილაძე 1993 წელს ბაბუშერას აეროპორტში დატრიალებული ტრაგედიის შედეგად დაიღუპა, დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით. ალექსანდრე თანდაშვილი 2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალში დაიღუპა, დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.**



# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს რეიხან ბაირამოვას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რეიხან ბაირამოვა (პ/ნ 28001058705), მარნეული, ს. იმირი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
მარნეული, ს. იმირი (საკადასტრო კოდი: 83.09.15.231 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 75880.37 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 30 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 13 ივნისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP89472023;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 894720

6. **მოვალე:** რეიხან ბაირამოვა (პ/ნ 28001058705), მარნეული, ს. იმირი;

ელშან ბაირამოვი (პ/ნ 28001109300), მარნეული, ს. იმირი.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP89472023; ლოტის ნომერი: 894720).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 13 ივნისის 12:00 საათამდე.

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ139) უფლისციხის კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზის მე-7 კმ-ში არსებული გზის რეაბილიტაციის 800 მ-იანი მონაკვეთის წყლის აცილების პრევენციული ღონისძიებების ჩასატარებელი სამუშაოების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების **ქრისტინა პოლოზაშვილის** (პ/ნ 59701129278), ზურაბ პოლოზაშვილის (პ/ნ 59001099882) და რომან პოლოზაშვილის (შემდგომში - მესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ უფლისციხეში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 692 კვ. მეტრი მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილი - 181 კვ. მეტრი (ს/კ 66.57.01.272), მასზე არსებული მრავალწლიანი ნარგავები და შენობა-ნაგებობა (ღობე) (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 19 მაისის №1-1/198 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ, გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ უფლისციხეში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 692 კვ. მეტრი მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილზე - 181 კვ. მეტრზე (ს/კ 66.57.01.272), მასზე არსებულ მრავალწლიან ნარგავებზე და შენობა-ნაგებობაზე (ღობე).

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარიმესტია-ლასდილის საავტომობილო გზის კმ165-კმ177 (საპროექტო მონაკვეთი პკ220+000-პკ350+000) მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების **მალხაზ დადვანის (პ/ნ 30001007134), ზურიკო დადვანის (პ/ნ 30001001972) და მირზა დადვანის (პ/ნ 30001000288)** (შემდგომში - თანამესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებულ, **მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფელ კალაში მდებარე 1027 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 42.02.35.051) ნაწილი - 70 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებულ ნაგებობა** (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 19 მაისის №1-1/197 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს თბილისი-საგარეჯო და საგარეჯო-ბაკურციხის (საგარეჯოს აღმოსავლეთიდან (თოხლიაურის გადაკვეთა) ბადიაურამდე მდებარე საავტომობილო გზის მონაკვეთი) საავტომობილო გზის (ლოტი III) გაუმჯობესების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა **ვაჟა მენთესაშვილის (პ/ნ 36001033191)** (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) **საკუთრებაში არსებულ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ადმინისტრაციულ ერთეულ ყანდაურაში მდებარე (ბლოკი 065, ნაკვეთი 015) 1424 კვ.მ სასოფლოსამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 55.06.60.065.015) ნაწილი - 353 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული მრავალწლიანი ნარგავები და მცირე ნაგებობა (ღობე)** (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 18 მაისის №1-1/195 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ139) უფლისციხის კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზის მე-7 კმ-ში არსებული გზის რეაბილიტაციის 800 მ-იანი მონაკვეთის წყლის აცილების პრევენციული ღონისძიებების ჩასატარებელი სამუშაოების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე **გიორგი ორთანეზაშვილის** (პ/ნ 59001117098) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვახვრელში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1003 კვ. მეტრი მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილი - 195 კვ. მეტრი (ს/კ 66.57.01.283), მასზე არსებული მრავალწლიანი ნარგავები და შენობა-ნაგებობები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 19 მაისის №1-1/198 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე გიორგი ორთანეზაშვილის (პ/ნ 59001117098) საკუთრებაში არსებულ, გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვახვრელში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1003 კვ. მეტრი მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილზე - 195 კვ. მეტრზე (ს/კ 66.57.01.283), მასზე არსებულ მრავალწლიან ნარგავებზე და შენობა-ნაგებობებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.



# სემეკის თაღლითებო, კომუნალური ტარიფების შემცირების დროა!

**გამოიკვეთა, რომ ქვეყანაში კომუნალური ტარიფების შემცირების რესურსი უკვე ნამდვილად არსებობს. ამაზე აპელირებენ როგორც პოლიტიკოსები, ასე ენერგეტიკოსები და ამ მოცემულობის უარყოფა არ შეუძლია მარეგულირებელსაც. სემეკში ადასტურებენ, რომ კომპანიები ნორმირებულზე გვერად მეტ მოგებას იღებენ.**

## სემეკიც ადასტურებს, რომ კომპანიები დიდ მოგებას იღებენ

დავით ნარმანიამ, სემეკის თავმჯდომარემ, დაადასტურა, რომ ტარიფების შემცირება შესაძლებელია, მაგრამ არ ამცირებენ იმიტომ, რომ არ იციან, როგორ გაგრძელდება სიტუაცია ქვეყანაში და დოლარის კურსი რა მდგომარეობაში იქნება.

**„2020 წელს ელექტროენერგიის მიმწოდებელ კომპანიებს ტარიფების გაზრდის კიდევ უფრო მეტი მოლოდინი ჰქონდათ, თუმცა მათ პოზიციას კომისია არ დაეთანხმა. მოთხოვნა რომ გაგვეთვალისწინებინა, დაახლოებით კიდევ 2 თეთრით გაიზრდებოდა ელექტროენერგიის ტარიფი, თუმცა კომისიამ კარგად „გაწურა“ კომპანიების ხარჯები.**

**ამის შემდგომ ლარის კურსი კიდევ იზრდებოდა და დოლართან მიმართებით 3.40 ლარსაც გადასცდა, თუმცა შემდგომ დაღმასვლა დაიწყო. ახლა ნამდვილად არის გარკვეული „პლუსები“ დარჩენილი და მათ ეს ბანკის ანგარიშზე უდევთ, შესაბამისი სარგებელი ერიცხებათ და ეს სარგებელიც ტარიფისთვის შვებაა. მარეგულირებელმა კომისიამ ახლა ტარიფი რომ შეამციროს და კურსი გაუარესდეს, დეკემბრის ბოლოს ელექტროენერგიაზე ტარიფი ისევ გასაზრდელი გვექნება. აქედან გამომდინარე, კომისია ამ ნაბიჯის გადადგმას ერიდება.**

**ერთი მხრივ, სარგებელს, რომელიც მათ ერიცხებათ ბანკში, კარგად ვიყენებთ ტარიფის ტვირთის შესამსუბუქებლად და თუ ლარის კურსი კიდევ დაბლა წამოვა, ოდესღაც ამ ტარიფებს გადავხედავთ და ეს „ოდესღაც“ დიდი ხანი არ იქნება“**, – განაცხადა „ბიზნეს მედიასთან“ ნარმანიამ.

ფაქტს, რომ კომპანიები ჭარბ მოგებაზე მუშაობენ, ენერგეტიკოსებიც ადასტურებენ და ხაზს უსვამენ, რომ ახლა ყველაზე ხელსაყრელი დროა ტარიფების შესამცირებლად. ენერგეტიკოს **თემურ ჭიჭინაძეს** მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე გადასახადის გაიაფების ყველა წინაპირობაა, ამიტომ სემეკმა როგორმე უნდა დაიცვას მოსახლეობის ინტერესები.

**„დენის ტარიფის გადახედვა როცა მოხდება, ყველა შესაძლებლობაა, შეამცირონ! ლარის სტაბილურობა ამის საშუალებას იძლევა, თუკი კურსის მიზეზით იზრდებოდა გადასახადი, კეთილი ინებონ და ამავე მიზეზით მოხდეს გაიაფებაც. თავის დროზე, როცა ტარიფი ძვირდებოდა, ერთადერთ არგუმენტად სახელდებოდა ლარის კურსი, რომელიც 3,30-მდე იყო გაუფასურებული. ამიტომ დათვლა 2,97-იან ნიშნულზე მოახდინეს, ჯერ დენი გაძვირდა, მოგვიანებით – გაზი.**

**ახლა კურსი 2.50-2,55-ის ფარგლებშია, ეროვნული ვალუტა საკმაოდ სტაბილურია და ნდობაც მაღალია, თუმცა მოსახლეობას მაინც მაღალი გადასახადის გადახდა უწევს“**, – განაცხადა ჭიჭინაძემ და დასძინა, რომ ლარის გამყარების პროცესი დიდი ხანია გრძელდება, ამიტომ ტარიფების საკითხი ადრეც უნდა დაესვათ.

**ბექა დანელია**

## ყაჩაღობა ქობულეთში

**ქობულეთის სოფელ აჭყვისთავში ყაჩაღობა მოხდა. არსებული ინფორმაციით, დედა-შვილი თოკით დააბეს და სახლიდან ძვირფასეულობა წაიღეს.**

მეზობლების ცნობით, შემთხვევა იმ დროს მოხდა, როცა ქალი მცირეწლოვან შვილებთან ერთად სახლში მარტო იმყოფებოდა. წაღებულია დიდი რაოდენობით ოქრო.

## სექსშანტაჟისტები გაებნენ

**სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა 2023 წლის აპრილი-მაისის პერიოდში, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტებზე 5 პირი დააკავა, რომელთა შორის 1 ლიეტუვის მოქალაქეა, ხოლო 2 პირს ბრალდება წარედგინა.**




ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებს სოციალური ქსელით გაცნობილ ქალბატონებთან ურთიერთობა სხვადასხვა დროს ჰქონდათ რა დროსაც მათი პირადი კომპიუტერების, მობილური ტელეფონებისა და სოციალური ქსელების საშუალებით პირადი ცხოვრების ამსახველ ინტიმურ ფოტოებს, ხმოვან შეტყობინებებს, მიმოწერებს და ვიდეოებს მოიპოვებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ურთიერთობაში ყოფნის პერიოდში დაზარალებულები ზემო აღნიშნულ ინფორმაციას, მათ ნებაყოფლობით უგზავნიდნენ. ურთიერთობის დასრულების შემდეგ, შურისძიების მოტივით და შანტაჟის მიზნით ბრალდებულები დაზარალებულების პირადი ცხოვრების ამსახველ მასალებს დაზარალებულების მშობლებს, ახლო ნათესავებს და ნაცნობებს უგზავნიდნენ. აღნიშნული ქმედებით დაირღვა მათი პირადი ცხოვრების საიდუმლოება.

ჩატარებული გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში მცხოვრები, 1978 წელს დაბადებული ზ.ც., 2014 წლიდან 2022 წლის ზაფხულამდე პერიოდში, დაზარალებულთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა და ასევე, დაზარალებულის ინფექციური დაავადების შესახებ ინფორმაციას ფლობდა.

აღნიშნული კი პირადი ცხოვრების საიდუმლოს წარმოადგენდა. ზ.ც.-მ 2022 წლის ზაფხულში, დაზარალებულის საერთო ნაცნობთან და 2023 წლის მარტის თვეში, სოციალური ქსელის პირად გვერდზე, დაზარალებულისგან თანხმობის გარეშე, მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი ინფორმაცია უკანონოდ გაავრცელა.

## საქართველოს ორ მოქალაქეს პატიმრობა შეუფარდეს

**დაკავებულები არიან ლევან პეტრიაშვილი და არჩილ ბასანიძე – ისინი ცხინვალის იზოლატორიდან ციხეში გადაიყვანეს.**

ლევან პეტრიაშვილი ერგნეთში ცხოვრობს. ის ცხინვალის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლებმა 15 მაისს დააკავეს. არჩილ ბასანიძე კი 16 მაისს იყო დაკავებული. საქართველოს მოქალაქეების დაკავების და მათ მიმართ უკანონო ქმედებების შესახებ ინფორმაცია ევროკავშირის მონიტორინგის მისიას და ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებს გადაეცათ.

გახსენება



# კაცურ-კაცობის ეტალონი,

## ანუ დროსთან ჭიდილში გამარჯვებული

**მიილია 40 დღე, რაც ჩვენ შორის აღარ არის ჩვენი თაობის ბერმუხა, ქვეყნისა და ერის დიდი მოჭირნახულე, თვალსაჩინო საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე ბორის სარალიძე, ჩვენ კი ჯერაც არ გაგვნელებია ტკივილი, რაც მისმა უეცარმა აღსრულებამ გამოიწვია.**

**ცხრა ათეული წელი არცთუ ისე ცოტაა ამ ცოდვილი წუთისოფლის ქარტეხილებში ცხოვრებისთვის, მაგრამ ჩვენ გვეგონა, რომ იგი მარადიული სიცოცხლით იყო დაჯილდოებული. თავისი თანამოაზრენი – უახლოესი მეგობრები, ისინიც ღვაწლმოსილნი, ღირსეულად გააცილა ზესთასოფელში, თვითონ მათ მაგივრადაც გააგრძელა ცხოვრება – დარაჯად დაუდგა მათ ხსოვნას.**

**ბორისმა მთელი თავისი ცხოვრება უმაღლეს ღირებულებათა სამსახურში განვლო და არასოდეს არ უღალატია მისთვის. მუხლჩაუხრელად შრომობდა დღენიადაგ სიყვარულისა და სიკეთის მთესავი.**

**ცხოვრების პირველ ათეულ წელს თუ არ ჩავთვლით, ვიდრე მყარად დადგებოდა ფეხზე, არ ჩაუმუხლია თავისი ოჯახის ღირსეულ მემკვიდრეს, შენების წყურვილით და მომავლის რწმენით თავდაუზოგავად შრომობდა იქ, სადაც ქვეყანას ჭირდებოდა – მთასა თუ ბარში, სტრატეგიულ თუ უბრალო ობიექტებზე.**

**შრომობდა დიდი პასუხისმგებლობით და, რაც მთავარია, საქმისადმი დიდი სიყვარულით – მიუწვდომელს სწვდებოდა და მიუღწეველს აღწევდა.**

**ჯერ იყო მშობლიური ზესტაფონის რაიონის მოვლა-პატრონობა. მოკლე დროში თანაქალაქელებს უჩვენა საქმისადმი ერთგულება, თავდადება დაკისრებული მოვალეობისადმი დიდი ორგანიზატორული და ნოვატორული ნიჭი, სიკეთის კეთების დაუოკებელი სურვილი, კაცთმოყვარეობა, მტკიცე ხასიათი.**

**არ ეთმობოდათ მისი წასვლა რაიონიდან... მაგრამ აღნიშნული თვისებების გათვალისწინებით, მისი გადაყვანა სწორედაც დროული იყო ისეთ რთულ უბანზე, როგორსაც იმ დროს ზემო სვანეთი წარმოადგენდა. რეგიონი ფაქტობრივად, მოწყვეტილი იყო რესპუბლიკის ცხოვრებას, თავისი პატრიარქალური წესით ცხოვრობდა, რადგან არ არსებობდა ელემენტარული ცხოვრების პირობები.**

**პირველი შიშის დაცხრომისთანავე მან შემოიკრიბა ადგილობრივი ავტორიტეტები, შეადგინეს სათანადო ფინანსური რესურსებით გარანტირებული რაიონის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების გეგმა. მთავრობის დიდი მხარდაჭერით დაიწყო არნახული პათოსით შენებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები მამაცი თავკაცის – ბორისის ხელმძღვანელობით. იგი შესაშური ენთუზიაზმით მიუდგა ყველა პრობლემის გადაჭრას. ნახეს რა მისი თავდადებული შრომა, მთელი მოსახლეობა დაუდგა გვერდით ენერგიულ ხელმძღვანელს.**

**ბორისმა ოსტატურად გამოიყენა მართვის საქმეში (ადმინისტრირების გზით ვერაფერს გააწყობდა, იცოდა) ხალხთან ურთიერთობის ნაცადი ხელოვნება – ურთიერთპატივისცემა, ურთიერთხათრი, სიყვარული, ღირსებადამცველი დამოკიდებულება.**

**6 წელიწადში ზემო სვანეთი, მისი ამაყი და მშრომელი ხალხი წელში გამართული, კეთილმოწყობილი ჩაერთო რესპუბლიკის ცხოვრების რიტმში და მისი ყოველდღიური შემოქმედების მონაწილე გახდა.**

**უსაზღვრო მადლიერებით აღსავსე მთის შვილებმა ღირსეულად დაუფასეს ეს ამაგი თავის ერთგულ თავკაცს, სვანები თავის სალოცავებში ლოცავენ მას და მის შთამომავლობას, არც ოჯახებში ავიწყდებათ მისთვის პატივის მიგება.**

**ზესთასოფელშიც სვანური გოდებითა და ზარით გააცილეს თავიანთი რჩეული... სვანებმა „სხვანაირი“ სიყვარული და თანადგომა იციან...**

**ქალაქ თბილისის კეთილმოწყობის საქმესაც შეავლო თავისი მადლიანი ხელი, განსაკუთრებით დედაქალაქის ძველი უბნები ითხოვდა შველას. მისი გარჯის სფერო იყო აგრეთვე საქართველოს საგზაო მეურნეობის განვითარება და მრავალი სხვა... ამიტომაცაა, რომ მადლიერებით აღსავსე მრავალი ადამიანი კეთილად იხსენებს მას, მის მადლიან საქმეს. ბორისის თავდაუზოგავი შრომა დაფასდა. იგი იყო სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დაჯილდოებული გახლდათ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით – თავდადებისა და მამაცობისთვის.**

**სიკეთით, ღირსებით განვლო ცხოვრება და პირნათელი წავიდა ზეციურ საქართველოში. ჩვენ კი დავრჩით ამიერში მისი კეთილი საქმეების მოსაგონრად.**

**მეგობრები**

# ,,გამეზამ“ ,,კვარადონა“ ბათუმელებს მიუძღვნა



**ბათუმში ხვიჩა კვარაცხელიას ეფექტური, გიგანტური გრაფიტი გამოჩნდა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის კედელზე ცნობილი ქართველი ფეხბურთელი ბათუმის სტადიონის ფონზეა გამოსახული.**

ქუჩის მხატვრობა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით უეფას 21 წლამდე ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით მომზადდა, რაც სპორტული ტურიზმის, ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისებასა და პოპულარიზაციას უწყობს ხელს. ცნობილი ქართველი ფეხბურთელის მურალი 430 კვადრატული მეტრისაა და მასზე მხატვარი გიორგი გამეზარდაშვილი მეტსახელად „გამეზა“ „სთრით არტ ფესტი“-ს გუნდთან ერთად 10 დღის განმავლობაში ინტენსიურად მუშაობდა.

აღნიშნულ მურალს დეპარტამენტი ბათუმის, როგორც სპორტული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის პოზიციონირებისა და სპორტული ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით სამიზნე ქვეყნებში აქტიურად გამოიყენებს.

# პოლონეთი ივნისიდან ბელარუსთან საზღვარს კეტავს...



**შესაბამის განკარგულებას პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, მარიუშ კამინსკიმ ხელი უკვე მოაწერა. ინფორმაციას პოლონური მედია ავრცელებს.**

გადაწყვეტილების თანახმად, პოლონეთი თავის ტერიტორიაზე ბელარუსიდან არ შეუშვებს რუსეთსა და ბელარუსში რეგისტრირებულ სატვირთო მანქანებს, მისაბმელიანებსა და ნახევრადმისაბმელიანებს. ამას გარდა, პოლონეთის ხელისუფლებამ სანქციები დაუწესა ბელარუსის 365 მოქალაქეს, მათ შორის, 150-ზე მეტ დეპუტატს. ეს ადამიანები მხარს უჭერდნენ ბელარუსულ რეჟიმს, ასევე ეწეოდნენ მინსკში ხელისუფლების ლეგიტიმაციასა და რეპრესიული პოლიტიკის მხარდაჭერას. აღნიშნული გადაწყვეტილება ვარშავამ პოლონელ-ბელარუსი ჟურნალისტისა და აქტივისტის, ლუკაშენკოს კრიტიკოსის, ანჟეი პოჩობუტის დაპატიმრების საპასუხოდ მიიღო. მას ბელარუსის სასამართლომ რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

# მოსკოვზე თავდასხმები კვლავ გრძელდება



**მოსკოვში უპილოტო საფრენი აპარატებით თავდასხმის შედეგად რამდენიმე შენობა დაზიანდა,** – ამის შესახებ ინფორმაციას რუსეთის დედაქალაქის მერი სერგეი სობიანინი ადასტურებს.

**„დღეს დილით ადრე, უპილოტო საფრენი აპარატების თავდასხმის შედეგად რამდენიმე შენობა უმნიშვნელოდ დაზიანდა. ქალაქის ყველა საგანგებო სამსახური შემთხვევის ადგილებზეა. ისინი მომხდარის გარემოებას არკვევენ. მოცემული მომენტისთვის არავინ სერიოზულად არ დაშავებულა“,** – წერს მოსკოვის მერი ტელეგრამ-ახრში.

რუსული მედიის ცნობით, დრონებით თავდასხმა ორ საცხოვრებელ კორპუსზე განხორციელდა. ამასთან, მოსკოვის ოლქის გუბერნატორი ანდრეი ვორობიოვი აცხადებს, რომ მოსკოვის მისადგომებთან საჰაერო თავდაცვამ რამდენიმე უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდო. გუბერნატორმა მოსახლეობას სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდა.

# უკრაინაში ომის დაწყებიდან 16 ამერიკელი მოხალისე დაიღუპა

**უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესიის დაწყების შემდეგ იქ უკრაინის მხარეს მებრძოლი აშშ-ის 16 მოქალაქე დაიღუპა. ეს მონაცემები ამერიკულმა გამოცემამ Washington Post-მა გაავრცელა.**

ამერიკელების ზუსტი რაოდენობა, რომლებიც უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის ბრძოლაში მონაწილეობენ, უცნობია. გაზეთი ვარაუდობს, რომ აშშ-ის ხელისუფლების ყველა გაფრთხილების და მოწოდების მიუხედავად, ასეთი მოხალისეების რაოდენობა შეიძლება რამდენიმე ათასს შეადგენდეს. უკრაინაში შექმნილ ინტერნაციონალურ ლეგიონში 50 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძვიან. უკრაინაში მათ კომბატანტებს უწოდებენ. რუსული პროპაგანდისტული მედიის ვერსიით კი ისინი დაქირავებული ბოევიკები არიან.



# ტრაგედია მაჯორეს ტბაზე

**მაჯორეს ტბაზე ნავის ჩაძირვის შედეგად დაღუპულებს შორის იტალიის დაზვერვის ორი აგენტი და ისრაელის უსაფრთხოების ძალების ყოფილი წევრი არიან. ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი ხელისუფლება ავრცელებს. მსხვერპლთა შორის არის ასევე ნავის კაპიტნის ცოლი, რუსეთის მოქალაქე, 50 წლის ქალი.**

ნავი, რომლის ბორტზეც 20-ზე მეტი ტურისტი და ეკიპაჟი იმყოფებოდა, ძლიერი ქარის შედეგად ჩაიძირა.

იტალიური მედიის ცნობით, ნავის ბორტზე მყოფები დაბადების დღეს აღნიშნავდნენ, როდესაც ქარიშხალი ამოვარდა. 16 მეტრის სიგრძის ნავი ამოტრიალდა და ჩაიძირა. შემთხვევის შედეგად ხუთი ადამიანი ჰოსპიტალიზებულია.

# კონცერტი... 21 წლის შემდეგ



**ცნობილი მსახიობის, კიანუ რივზის ალტ-როკ ჯგუფმა DOGSTAR 2002 წლის შემდეგ პირველი კონცერტი გამართა.**

ტრიომ, რომელშიც რივზი ბას გიტარაზე უკრავს, BottleRock Festival-ზე გამოვიდა. მათ 12 სიმღერა შეასრულეს, რომელთა შორის იყო კომპოზიციები მათი პირველი ორი ალბომიდან და რამდენიმე სიმღერა მესამე ჩანაწერიდან, რომელზეც ჯგუფი ახლა მუშაობს.

# ყასიმ თოყაევი: ვაფასებ ლუკაშენკოს ხუმრობას!..

ყაზახეთის პრეზიდენტი ყასიმ თოყაევი გამოეხმაურა ბელარუსის პრეზიდენტის, ალექსანდრ ლუკაშენკოს ინიციატივას, რომელმაც აღნიშნა, რომ ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია, შეუერთდეს რუსეთ-ბელარუსის კავშირს და თავის ქვეყანაში რუსეთის ბირთვული იარაღი განათავსოს.



**„ახლახან ბელარუსის პრეზიდენტმა შესთავაზა ყაზახეთს, გაწევრიანდეს კავშირში. ვაფასებ მის ხუმრობას. ვფიქრობ, ამის აუცილებლობა არ არის, რამდენადაც არსებობს სხვა ინტეგრაციული გაერთიანებები, პირველ რიგში, ევრაზიის ეკონომიკური კავშირი. რაც შეეხება ბირთვულ იარაღს, ის ჩვენ არ გვჭირდება, რამდენადაც ჩვენ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებისა და ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შეთანხმებების წევრი ვართ“,** – განაცხადა ყაზახეთის პრეზიდენტმა, ყასიმ ჟომართ თოყაევმა. თოყაევის თქმით, მისი ქვეყანა ამ საერთაშორისო დოკუმენტების ერთგული რჩება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა ,,კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 1 ივნისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5919; ევრო - 2.7824;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2204;
100 რუბლი - 3.2357; თურქული ლირა - 0.1279;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5221;
1000 სომხური დრამი - 6.7101

**ამინდი 31 მაისისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +12, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე +27 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +26 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +27 |
| თბილისი: | ღამე | +17, | დღე +30 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge